ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

გამარჯვება ბოლო წამზე — საქართველომ ისრაელს 71:69 მოუგო

გუშინ, 3 დეკემბერს, საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ მატჩში ისრაელი 71:69 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების ესტონეთთან გამარჯვებამ და ისრაელის მიერ სერბეთის ძლევამ ჩვენი გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი პრაქტიკულში გარდასახა და ამ მატჩში აუცილებლად მოგება გვჭირდებოდა.

ილიას ზუროსმა ასეთი სასტარტო ხუთეული გაიყვანა პარკეტზე: მაკფადენი, შერმადინი, ბურჯანაძე, ცინცაძე, სანაძე.

პირველი მეოთხედი 9:11 წავაგეთ, ტაიმი კი 34:30 მოვიგეთ.

მესამე პერიოდში ჩვენი გუნდი წინ გაიჭრა, მაგრამ პერიოდი მხოლოდ 1 ქულით მოიგო. მატჩის ძირითადი დრო 64:64 დასრულდა, ოვერტაიმის ბოლო წამზე კი შერმადინმა გამარჯვება საქართველოს ნაკრებს მოუპოვა.

სპორტალი

სამშაბათი, 4 დეკემბერი, 2018 №287 (7832) ფასი: 60 თეთრი

კალაძემ და ღარიბაშვილმა ერთად უნდა შეკრან გუნდი

გვ.4

თაკო ჩარკვიანი კალაძის გადადგომას ითხოვს

გვ.3

გიორგი ვაშაძე: „500.000-მდე ადამიანს აიძულეს, რომ 48 შემოეხაზათ“

გვ.3

„ქართულ ოცნებას“ ვაიძულებთ, კონკრეტულ დათმობებზე წავიდეს“

ნუკრი ქანთარია: „სააკაშვილი ჩამოვიდეს, შორიდან რას გვემუქრება“

გვ.4

16 დეკემბერს ნაციონალებმა შეიძლება ერთი პატარა მიტინგი გამართონ და ამაზე დახარჯონ თანხა, მეტი არ მგონია, რამე იყოს მათი მხრიდან მოსალოდნელი

მურმან დუმბაძე: „თუ საჭირო გახდა, 16 დეკემბერს მთელ საქართველოს გამოვიყვანთ“



გვ.2

„ბიძინა ივანიშვილი ხის კენწეროზეა ასული“

სამართალი

გვ.7

უკრაინულმა მხარემ მეგის ქარდავას საექსტრადიციო პატიმრობა შინაპატიმრობით შეუცვალა

ზაზა სარალიძე: „მთავარ პროკურორსა და შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვედრასთან დაკავშირებით ოფიციალურად მივმართავ“

ლომჯარია: „მირგატ ასალოვის დაკავების გარემოებები ჩვენთვის საკმაოდ საეჭვოა“

ეკონომიკა

გვ.6

ბიზნესომბუდსმენი კალაძის ერთწლიან საქმიანობას აფასებს — ბიზნესისთვის მთავარია თამაშის წესები იყოს ცხადი და კომუნიკაცია აქტიური

2017 წლიდან დღემდე სოსო ჯაჭვლიანის დაქირავება სახელმწიფოს 129,950 ლარი დაუჯდა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რიცხვი 15.2%-ით შემცირდა

ISSN 1987-9385

5 ლევან ჩაჩუა: „არჩევნები ორივე მხრიდან გაყალბდა“

3 ფიქრია ჩიხრაძე: „დიდი პროცენტი დგას ოპოზიციის მხარეს და ოპოზიციისგან წამოსული მოთხოვნები მნიშვნელოვანია“

5 ნინო ბურჯანაძე საარჩევნო სისტემის შეცვლას ითხოვს

3 არ არის ულტიმატუმების დრო“ — ზურაბიშვილი გაერთიანებული ოპოზიციის მოთხოვნას პასუხობს

„ბიძინა ივანიშვილი ხის კენწეროზეა ასული“

მურმან დუმბაძე: „თუ საჭირო გახდა, 16 დეკემბერს მთელ საქართველოს გამოვიყვანთ“

შორენა მარსაგიშვილი



აუცილებლად უნდა დაინიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ეს არჩევნები აუცილებლად პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს. ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაისადგუროს სამართლიანობამ. 2018 წლის 28 ნოემბერს საქართველოში პოლიტიკური გარემო მკვეთრად შეიცვალა.

რას აპირებს ოპოზიცია 16 დეკემბერს, რატომ გარბის „ოცნება“ თბილისიდან, რატომ უნდა იყოს ფრთხილად კახა კალაძე, რატომ აღარ არის ხუთიანების შემოხაზვა ჯანმრთელობისთვის მავნებელი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ემსახურე საქართველოს“ ლიდერი **მურმან დუმბაძე** ესაუბრება.

– ბატონო მურმან, თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ კარგი ფეხი გაქვთ და რომელ გაერთიანებასთანაც მიხვედით, ყველამ გაიმარჯვა. გაერთიანებული ოპოზიციისთვის თქვენი ფეხი მაინცდამაინც ილბლიანი არ გამოდგა. რაშია საქმე?

– მე არ ვფიქრობ რომ გაერთიანებული ოპოზიციისთვის უიღბლო იყო ჩემი ფეხი. ოპოზიცია არ დამარცხებულა – სალომე ზურაბიშვილი არ არის საქართველოს პრეზიდენტი.

2018 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური, სადაც 1.600.000 ამომრჩეველიდან 1.000.000 ამომრჩეველმა არ მისცა სალომე ზურაბიშვილს ხმა. ის რაც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მოხდა, ეს იყო პირდაპირი შანტაჟი და მოსახლეობის მოსყიდვა. პირველ ტურთან შედარებით, სალომე ზურაბიშვილმა 500.000-ით მეტი ხმა მიიღო. ეს ნიშნავს, რომ არჩევნები არის გაყალბებული.

რას ნიშნავს გაყალბება? საქართველოს კონსტიტუცია ამბობს, რომ საარჩევნო ყუთთან ამომრჩეველს უნდა მიეცეს ნება, რომ მან თავისუფლად გამოხატოს ნება. ამომრჩევლის ნების გაკონტროლება კონსტიტუციურად არის დაუშვებელი.

ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული და როცა ასეთი რამე ხდება, აუცილებელია გამოძიების დაწყება.

გაერთიანებული ოპოზიციის მსგავსად, არც მე არ ვცნობ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს. ჩვენ ახლა ვიბრძვით იმისთვის, რომ სამართალმა გაიმარჯვოს.

ქვეყანა შესულია ჩიხში – გრიგოლ ვაშაძემ 800.000-ზე მეტი ხმა მიიღო. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე, ოპოზიციონერ კანდიდატს ასეთი შედეგი არ უჩვენებია.

ამ უმძიმესი ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალია. ხელისუფლება უნდა წამოვიდეს დიალოგზე.

– რაზე აპირებთ ხელისუფლებასთან დიალოგს?

– აუცილებლად უნდა დაინიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ეს არჩევნები აუცილებლად პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს. ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაისადგუროს სამართლიანობამ. 2018 წლის 28 ნოემბერს საქართველოში პოლიტიკური გარემო მკვეთრად შეიცვალა.

– 2 დეკემბერს ოპოზიციამ „ქართულ ოცნებას“ ულტიმატუმი წაუყენა და ვადა 16 დეკემბრამდე მისცა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა თქვეს, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნას და ოპოზიციასთან დიალოგს არ აპირებენ.

– საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც ოპოზიციას დაუჭირა მხარი, ითხოვს, რომ ჩვენ ადეკვატურად ვიმოქმედოთ. ჩვენ ვალდებული ვართ ხალხის მოთხოვნას პატივი ვცეთ და ვემზადებით 2018 წლის 16 დეკემბრის მიტინგისთვის. ხელისუფლებას უმორჩილესად ვთხოვ, რომ გონს მოეგოს და ნუ მოიქცევა ისე, როგორც მისი წინამორბედი იქცეოდა.

ვურჩევ „ოცნებას“, არ მოიქცეს ისე, როგორც ედუარდ შევარდნაძე და ასლან აბაშიძე იქცეოდნენ. მხედველობაში მაქვს არჩევნების გაყალბება.

საქართველოს ყველა ხელისუფალს უნდა ახსოვდეს, რომ საქართველოს მოსახლეობა ხშირად გადაწყვეტილებას პოლიტიკოსების გარეშეც ღებულობს. ჩვენ არ გვინდა, რომ ასეთი რამე მოხდეს.

გაერთიანებული ოპოზიცია კანონის და კონსტიტუციის მიღმა არ აპირებს გასვლას. მით უმეტეს, რომ ჩვენი მოთხოვნა არის სამართლიანი. 2012-2016 წლების მოწვევის პარლამენტში პირველი მოსმენით მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 2016 წლის შემდეგ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება.

ასეთი კონსტიტუციური დათქმა შეტანილია დღის წესრიგში. ეს პარლამენტში 2016 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე გამოიტანეს. ასე რომ, ჩვენი მოთხოვნა, რომ საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდეს, სრულიად კანონიერია. ახლა ხელისუფლება ვალდებულია დიალოგზე წამოვიდეს.

– ისინი თქვენთან დიალოგს არ აპირებენ.

– ძალიან ცუდი თუ არ აპირებენ. ჩვენ კანონის მიღმა არ გავალთ, მაგრამ არ ვიცით, როგორ მოიქცევა ხალხი. ხალხში კი უზარმაზარი საპროტესტო ტალღა არსებობს. ეს 28 ოქტომბერს და 28 ნოემბერს დადასტურდა.

– ამბობთ, რომ უზარმაზარი საპროტესტო ტალღა არის. „ოცნების“ მხარდამჭერებს ეს სასაცილოდ არ ჰყოფნით და 2 დეკემბრის აქციისკენ იშვერენ ხელს. ამბობენ, რომ ხალხის გამოყვანა ვერ შეძელით.

– აქციაზე ძალიან ბევრი ხალხი იყო. მიტინგებზე ხალხის დათვლაში ვერავინ ვერ მაჯობებს. ან ვინ იცინოდა, მამუკა ბახტაძე? რომელიც მიტინგის აზრზე არ არის. რადგან მიტინგზე არასდროს ყოფილა. იცინოდა ვანო ზარდიაშვილი, რომელიც მხოლოდ ხელისუფლების მიერ მოწყობილ მიტინგებზე დადის. ალბათ ივანიშვილიც იცინოდა. მიტინგებზე არც მას აქვს წარმოდგენა.

მათგან განსხვავებით, მე მიტინგზე გამოზრდილი კაცი ვარ. 2 დეკემბერზე მინდა გითხრათ, რომ ეს იყო მხოლოდ საინფორმაციო მიტინგი, სადაც გრიგოლ ვაშაძეს უნდა წაეკითხა ის მიმართვა, რაც მან წაიკითხა კიდევაც. ახლა ჩვენ ყველანი ვემზადებით 16 დეკემბრისთვის.

– 2 დეკემბრის აქციაზე თქვენს გამოსვლას დიდი რეზონანსი მოჰყვა. სიტყვით გამოსვლისას თქვენ იმ ხალხს დაულოცეთ მარჯვენა და მარცხენა, ვინც ხუთიანი შემოხაზა. არადა, 6 წლის წინ თქვენ ამბობდით, რომ ის ხელი გახმება, რომელიც ხუთიანს შემოხაზავსო. გამოდის, რომ წყევლა მოუხსენით ნაციონალების მხარდამჭერებს.

– დიახ, მე დავლოცე ეს ადამიანები, რადგანაც ისინი 28 ნოემბერსაც დავლოცე და 28 ოქტომბერსაც, იმიტომ, რომ ორჯერვე სწორად მოიქცნენ. თუ დააკვირდით, მე ძალიან მნიშვნელოვანი თარიღები ჩამოვთვალე, როცა ხალხი დავლოცე.

ეს იყო 1989 წლის 9 აპრილი. სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერები ამბობენ, რომ ეს იყო შეცდომა. არადა, ამ დღეს დაიწყო საბჭოთა კავშირის რღვევა.

ასევე დავლოცე 1990 წლის 28 ოქტომბერი. ამ დღეს საბჭოთა კავშირის პირობებში ჩვენმა ხალხმა პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩაატარა.

ასევე დავლოცე 2003 წლის 23 ნოემბერი. ვარდების რევოლუციაში თავიდან ბოლომდე ვმონაწილეობდი. 2003 წლის 23 ნოემბერს თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს ჩაეყარა საფუძველი.

სხვათა შორის, მე დავლოცე 2012 წლის 1 ოქტომბერი, როცა მოსახლეობამ მიიღო ბრძნული გადაწყვეტილება და ხელისუფლება საარჩევნო ყუთთან შეცვალა. მაშინ ხელისუფლებამ დამარცხება აღიარა და ეს დემოკრატიისკენ წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

– მოკლედ, რაც აქამდე დაგილოციათ, ყველაფერი იმათ სასარგებლოდ არის დასრულებული, ვისაც თქვენ მხარს უჭერდით.

– ასე გამოვიდა. ახლაც ყველაფერი ისე იქნება, როგორც ხალხს უნდა. ხალხი კი ცვლილებებს და სამართლიანობას ითხოვს.

ვინც ჩვენს აქციაზე იცინის, იმათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ 16 დეკემბერს ბევრად მეტი ადამიანის გამოყვანა შეგვიძლია, ვიდრე 2 დეკემბერს მოვიდა. რამდენიც დაგვჭირდება, იმდენ ხალხს მოვიყვანთ.

– მაინც რამდენი ადამიანის გამოყვანა შეგიძლიათ?

– ჩვენ შეგვიძლია მთელი საქართველოს გარეთ გამოყვანა. ამიტომ კიდევ ერთხელ ვთხოვთ ხელისუფლებას, დაიწყოს დიალოგი. ჩვენს კანონის მიღმა წასვლა არ გვინდა. თანაც ჩვენ იმას ვითხოვთ, რისი პირობაც „ოცნებამ“ ჯერ კიდევ 2012 წელს დადო. ისინი ამბობდნენ, რომ არჩევნები საქართველოში პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა მხოლოდ.

კეთილი ინებონ და თავიანთი დანაპირები შეასრულონ. წამოვიდნენ დიალოგზე, ამით დაწყნარდებიან თვითონ და ამით დაწყნარდება ხალხიც. წინააღმდეგ შემთხვევაში კარგი არაფერი მოხდება.

როცა ხალხს და ხელისუფლებას შორის მუდმივი დისჰარმონიაა, ქვეყანა ვერ განვითარდება. ამ ჩიხიდან გამოსავალი რიგგარეშე არჩევნებია, რომელიც პროპორციული წესით უნდა ჩატარდეს.

– უკვე არჩეულ პრეზიდენტთან დაკავშირებით რას იზამთ?

– ჩვენ სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტად არ ვცნობთ. ჩვენ სასამართლოში ვაპირებთ არჩევნების შედეგების გასაჩივრებას.

– თქვენი აზრით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

– სასამართლომ არჩევნების შედეგები არალეგიტიმურად უნდა ცნოს. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, მოქალაქეების ნების კონტროლი არის დაუშვებელი. 28 ნოემბერს ხალხის ნებაზე განხორციელდა კონტროლი. 500.000 ადამიანი როცა ძალით მიგყავს არჩევნებზე და ეუბნები, გინდა თუ არა 48 უნდა შემოხაზო, ეს არის ხალხის ნებაზე ზემოქმედება.

ასევე ზემოქმედებაა, როცა ადამიანები ძალით ჩამოიყვანეს რუსეთიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და სალომე ზურაბიშვილისთვის აიძულეს ხმის მიცემა.

აშკარაა, რომ მოსახლეობის ნებაზე კონტროლია დაწესებული, რაც საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. აქედან გამომდინარე, ლეგიტიმური საფუძველი გვაქვს იმის სათქმელად რომ საპრეზიდენტო არჩევნები არის გაყალბებული.

– გჯერათ, რომ სასამართლო არჩევნების შედეგებს გააბათილებს?

– მე სასამართლოსი არ მჯერა.

– აბა, რატომ მიმართეთ?

– ჩვენ ვმოქმედებთ კონსტიტუციურად. სხვათა შორის, მიტინგის და მსვლელობის მოწყობის უფლებაც კონსტიტუციური უფლებაა. ჩვენ კანონის ჩარჩოებიდან არ გავდივართ.

– აბა, რატომ საუბრობენ იმაზე, რომ დესტრუქციული ქმედებებისკენ გაქვთ მიდრეკილება?

– ეს არის ხელისუფლების პიარის ნაწილი. „ოცნება“ ამბობს, რომ ოპოზიციას არეულობა აწყობს. ჩემი აზრით კი, სულ სხვა რამეა დესტრუქცია.

– რა არის თქვენი აზრით დესტრუქცია?

– პირველ ტურში რომ 600.000 ხმას მიიღებ და მეორე ტურში ხმების რაოდენობას აორმაგებ, აი ეს არის ნამდვილი დესტრუქცია. ეს პირდაპირ ადასტურებს, რომ გაყალბებას ჰქონდა ადგილი. ამიტომ ხელისუფლებას ვურჩევდი, დესტრუქცია თავისკენ მოიკითხოს.

1990 წლიდან მოყოლებული, საქართველოში ყველა ხელისუფლება საკუთარი შეცდომების ხარჯზე დამარცხდა. ოპოზიციას არასდროს გაუმარჯვია, ხელისუფლება ყოველთვის თავისი შეცდომების ხარჯზე მარცხდება.

„ოცნებამ“ არჩევნები რომ გააყალბა, ეს საზღვარგარეთ ჩატარებული არჩევნებიდანაც ჩანს. იქ, სადაც ხელისუფლების კონტროლი არ იყო, ყველგან ვაშაძემ მოიგო.

საზღვარგარეთაც ჩვეულებრივი, ჩვენნაირი ქართველები ცხოვრობენ. იქ ვაშაძემ 65% აიღო. საქართველოშიც ასეთი განწყობაა და ხელისუფლებამ ამ განწყობას მიუგდოს ყური.

ბიძინა ივანიშვილი ახლა კენწეროშია ასული. კენწეროდან ან უნდა გადმოვარდეს, ან ფრთხილად ჩამოჩოჩდეს. ვურჩევ, რომ ის კენწეროდან ფრთხილად ჩამოჩოჩდეს და დიალოგზე დაჯდეს.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია, რომელიც ასევე 16 დეკემბერსაა დაგეგმილი, შესაძლოა თბილისში არ გაიმართოს. ოპოზიციის მიტინგის გამო ღებულობენ ამ გადაწყვეტილებას?

– ოპოზიცია სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტად არ ცნობს. შესაბამისად, არც მისი ინაუგურაცია გვაინტერესებს. სადაც უნდა, იქ ჩაატარონ. ჩვენი ნუ შეეშინდებათ, ჩვენ ინაუგურაციის ჩაშლას არ ვაპირებთ. ძალადობას ეგენი მიმართავენ.

– ძალადობის წახალისებად შეფასდა თბილისის მერის განცხადება თაკო ჩარკვიანთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ ჩარკვიანმა ის მოიმკა, რაც დათესა.

– კალაძეს თავი ჩე გევარა ნუ ჰგონია. მის ადგილას ცოტა ფრთხილად ვიქნებოდი. ვაშაძემ ბევრად მეტი ხმა აიღო, ვიდრე კალაძემ. თან როგორც მახსოვს, ეს ბატონი წლების მანძილზე სააკაშვილის პარტნიორი იყო. როცა ჩვენ სააკაშვილს ვებრძოდით, ის მის გვერდით იყო. მას იმის გამო დაუპირისპირდა, რომ მისი ბიზნესინტერესები არ დააკმაყოფილა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი ვაშაძე: „500.000-მდე ადამიანს აიძულეს, რომ 48 შემოეხაზათ“

„ქართულ ოცნებას“ ვაიძულებთ, კონკრეტულ დათმობებზე წავიდეს“

იაგო ნაცვლიშვილი

კვირას, 2 დეკემბერს, გაერთიანებულმა ოპოზიციამ „ძალა ერთობაშია“ რუსთაველზე აქცია გამართა და ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად, რისთვისაც დრო 16 დეკემბრამდე მისცა.

რამდენად კმაყოფილები არიან აქციაზე მისული ხალხით და რა გეგმები აქვთ? – ამ თემაზე „ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი საპრეზიდენტო კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი **გიორგი ვაშაძე** პასუხობს:

– აქცია გამართეთ, კმაყოფილი ხართ აქციაზე მოსული ხალხის რაოდენობით?

– დიახ, ეს იყო სპონტანური აქცია, 2 დღის წინ დაორგანიზებული აქცია და მე ვფიქრობ, რომ ადამიანების საკმაოდ კარგი რაოდენობა მოვიდა რუსთაველზე კვირას.

– სპეკულაციები მოჰყვა ხალხის რაოდენობას. თქვენი დათვლებით, რამდენი ადამიანი იყო?

– რა მნიშვნელობა აქვს?! ბევრი ადამიანი იყო, თვითდინებით მოსული. მე არ მახსოვს, ამდენი ადამიანი ბოლო პერიოდის რომელიმე აქციაზე თვითდინებით მისულიყო.

– რა ულტიმატუმს უყენებთ ხელისუფლებას?

– პირველი ეს არის ის, რომ ჩვენ არ ვაღიარებთ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს და ვაგრძელებთ სამართლებრივ ბრძოლას ამ არჩევნებთან დაკავშირებით, რათა არ ჩაითვალოს არჩევნები ჩატარებულად; მეორე, ვითხოვთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს; მესამე, ვითხოვთ პროპორციულ სისტემაზე გადასვლას; მეოთხე, ვითხოვთ საარჩევნო ადმინისტრირების და საარჩევნო გარემოს მთლიან რეფორმირებას, რათა ამომრჩევლის ნების გამოხატულება თავისუფალი იყოს; მეხუთე, ვითხოვთ საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციული ზომების შემოღებას, რომელმაც განსაკუთრებით ჩრდილი მიაყენა ამ არჩევნებს. იმიტომ, რომ საჯარო სექტორი შერწყმული იყო პარტიულ რესურსთან. ეს საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებშიც არის.

ამ ყველაფერს ვითხოვთ იმიტომ, რომ ახალი პოლიტიკური გარემოა. შედეგებთან დაკავშირებით პირდაპირ გეტყვით, რომ ჩვენ მივიღეთ 800.000-ზე მეტი ხმა. იმიტომ, რომ ბათილი ბიულეტენების რაოდენობა კოლოსალურია. პირდაპირი ფაქტები გვაქვს, რომ სწორედ ჩვენი ბიულეტენები გაბათილდა.

500.000-მდე ვთვლით იმ ადამიანებს, რომლებიც აიძულეს, რომ კონკრეტული ნომერი შემოეხაზათ. ამის კონკრეტული ფაქტებია, როგორ ადგანან გამგებლები თავზე კონკრეტულ ადამიანებს და აიძულებენ 48-ის შემოხაზვას. ეს არის რეალური პროცესი. ის ხმები, რაც მიიღო „ქართულმა ოცნებამ“, არის მეგამანიპულაციის შედეგი.

– დრო 16 დეკემბრამდე მიეცით ხელისუფლებას და სთხოვეთ 5 კაციანი ჯგუფის გამოყოფა, მან რა უნდა შეისწავლოს?

– ყველა ეს მოთხოვნა რომ იყოს შესრულებადი, ამისთვის საჭიროა, რომ რაღაც ფორმატი შედგეს. ზუსტად ამისთვის შევთავაზეთ ეს ფორმატი, როგორ შეიძლება განვიხილოთ ეს ყველაფერი.

– თუ არ წამოვლენ ამ შეთავაზებაზე, მაშინ რა გეგმები გაქვთ?

– მაშინ ვიკრიბებით 16 დეკემბერს და შემდეგ სამოქმედო გეგმას იქ გავაჟღერებთ.

– ისევ აქციის ფორმას მიმართავთ თუ სხვა ფორმატში შეიკრიბებით?

– რა ფორმა ექნება, ამაზე წინასწარ ვერ ვისაუბრებთ. ექნება ისეთი ფორმა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ აიძულებს, კონკრეტულ დათმობებზე და ნაბიჯებზე წავიდეს.

– ოპოზიციის ნაწილმა შენი შვნები გამოთქვა, რომ მთავარი საკითხი საარჩევნო რეფორმირება და ვადამდელი არჩევნები უნდა იყოს.

– ჩვენც ამას ვითხოვთ. არჩევნების არაღიარებას ჩვენ სამართლებრივ საფუძველს ვაძლევთ და სამართლებრივად ვდავობთ. მოთხოვნები არის ყველა სხვა დანარჩენი.

– კი, საერთაშორისო დასკვნებშიც არის საუბარი, რომ დარღვევები იყო, მაგრამ ხომ არ გგონიათ, რომ გარკვეული შეცდომები თქვენ – გაერთიანებულმა ოპოზიციამაც დაუშვით?

– რა თქმა უნდა, ჩვენ ვაანალიზებთ საარჩევნო კამპანიას და ჩვენთვის კარგი გაკვეთილები გამოვიტანეთ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არჩევნების შედეგებზე იმ მანიპულაციურმა გარემომ ითამაშა, რაც „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა, როცა კანონი აღარ კანონობდა ქვეყანაში.

– საუბრობთ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, მაგრამ მისი გამოყენება ამ არჩევნებზე არ დაწყებულა.

– კი, მაგრამ, ასე მასობრივად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და ნების გამოვლენის თავისუფლებაზე ზეწოლა არ ყოფილა. ფაქტობრივად, გამგებლები საარჩევნო უბნებთან ადამიანებს თავზე ადგნენ და ეუბნებოდნენ, ვინ უნდა შემოეხაზათ. ასეთი პრეცედენტები ასე მასობრივად არ ყოფილა საქართველოში.

მოსყიდვის ფაქტებსაც ასე მასობრივი ხასიათი არ ჰქონია აქამდე. ეს ორი კომპონენტი არჩევნებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. არა პროცედურულ დარღვევებს, არამედ საერთოდ არჩევნების ლეგიტიმაციას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. იმიტომ, რომ მთავარი საკითხები, რაზეც უნდა იდგეს არჩევნები, ეს არის სამართლიანობა და ნების გამოხატვის თავისუფლება, ეს ორივე დარღვეულია.

– სხვა ოპოზიციურ პარტიებთანაც თუ გაქვთ კომუნიკაცია, რომ ერთობლივად დასახოთ გეგმები?

– რა თქმა უნდა. შევხვდით რესპუბლიკურ პარტიას, გარკვეული კომუნიკაცია გვქონდა „ევროპულ საქართველოსთანაც“. ლეიბორისტული პარტია იყო აქციაზე მოსული. რა თქმა უნდა, კომუნიკაცია გვაქვს.

– როგორ წარმოგიდგენიათ პოლიტიკური ურთიერთობა პირადად თქვენ, მაგალითად, „ევროპული საქართველოს“ საპრეზიდენტო კანდიდატ დავით ბაქრაძესთან, რომელიც მწვავედ გყავთ არაერთხელ გაკრიტიკებული?

– პერსონალური მოსაზრებები პერსონალური მოსაზრებებია. პოლიტიკური თანამშრომლობა ჩვენ პირველი ტურიდან მეორე ტურამდე დროშიც ვაჩვენეთ.

– საქართველოში დააკავეს უკრაინის მოქალაქეები სპეცოპერაციის დროს. თქვენ პირადად კავშირს ხომ არ ხედავთ თქვენს აქციასა და ამ დაკავებას შორის?

– არა, ეს აბსურდია. ამ ორი ფაქტის ერთმანეთთან მიბმა ფაქტობრივი ტყუილია და შეგნებულად ავრცელებენ ზოგიერთი მედიასაშუალებები, თითქოს აქციისთვის იყვნენ ჩამოსულები. როგორ იყვნენ ამისთვის ჩამოსულები, როცა 27 ნოემბერს ჩამოვიდნენ და მაშინ არავინ იცოდა, იქნებოდა თუ არა აქცია. ეს არის ფაქტობრივი ტყუილი. ჩვენ ამ ადამიანებთან კომუნიკაცია საერთოდ არ გვაქვს და არც ვიცით, ვინ არიან დაკავებულები.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ საგამოძიებო ორგანოები წავლენ ამ მიმართულებით, გამომდინარე იქიდან, რაზეც ისინი საუბრობდნენ, რომ მზადდებოდა დესტრუქციული ქმედებები?

– ეს ისეთივე ფარსი იქნება, რაც მათ აქამდეც არაერთხელ ჰქონიათ. ამის უკვე აღარავის აღარ სჯერა.

– ხომ არ გაქვთ რამე ინფორმაცია, რომ ამას აპირებენ?

– არა, არანაირი ინფორმაცია არ მაქვს.

თაკო ჩარკვიანი კალაძის გადადგომას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

პირველ დეკემბერს ქუთაისის აეროპორტში თაკო ჩარკვიანს და მისი ოჯახის წევრებს თავს დაესხნენ. ამ თავდასხმას საზოგადოების მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა.

ხელისუფლება მომხდარის კომენტარებისგან თავს იკავებდა. შეფასების გაკეთება კახა კალაძემ იტვირთა და ისეთი რამე თქვა, ჯობდა, „ოცნება“ მთლად დადუმებულიყო. თბილისის მერმა ამ განცხადებით კიდევ ერთი ავტოგოლი გაიტანა.

ჩარკვიანსა და მის მეუღლეზე განხორციელებული თავდასხმა ვიდეოკამერებმაც გადაიღეს. კადრებიდან ჩანს, რომ ჩხუბში თბილისის საკრებულოს პროტოკოლის უფროსი დავით მაჭავარიანიც მონაწილეობს. კახა კალაძემ მასზეც ისაუბრა და დადებითად დაახასიათა.

– დათო უპატიოსნესი ადამიანია მართლა. მაგ ადამიანზე კარგის მეტი არაფერი შემიძლია. ძალადობა არავისთვის მისაღები არ არის, თუმცა ძალიან სამწუხაროა და მე ამაზე ყველა გამოსვლაში მივუთითებდი, რომ კატეგორიულად მიუღებელია, რაც ხდებოდა. პირდაპირი ეთერიდან დედის გინებაზე იყვნენ გადასული და არავის უნდა გაუკვირდეს, რომ ვიღაცა შეურაცხყოფას მიაყენებს. რასაც დასთეს, იმას მოიმკი – ხომ იცით ეს გამონათქვამი.

კატეგორიულად მიუღებელია ძალადობა, კატეგორიულად მიუღებელია ბულინგი, რასაც თქვენი გენერალური დირექტორი, მხედველობაში მაქვს გვარამია, ყოფილი გენპროკურორი, რასაც ის აკეთებდა ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის მიმართ, ემუქრებოდა ჩარეცხვით, იმუქრებოდა, ყველას დაგთვლითო, ვინ უნდა დათვალოს გვარამიამ, – განაცხადა ხალხის მიერ არჩეულმა თბილისის მერმა.

კალაძის ავტოგოლურ განცხადებას მალევე გამოეხმაურა თაკო ჩარკვიანი. მან ნაციონალების შემრისხავ მერს ახლო წარსული გაახსენა. იმ დროზე უამბო, როცა სააკაშვილს უჭერდა მხარს.

– კახი კალაძე, რომელიც 7 ნოემბრის (ცნობილი აქციის) შემდეგ, გახლდათ მიხეილ სააკაშვილის მეორედ გაპრეზიდენტების საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი, აცხადებს და მოუწოდებს პრაქტიკულად და „აპრავებს“ ჩვენს ოჯახზე განხორციელებულ ძალადობას, რადგან საკრებულოს პროტოკოლის უფროსი მაჭავარიანია სწორედ მთავარი მონაწილე ამ თავდასხმისა!

კადრებშიც, სწორედ მაჭავარიანია ერთ-ერთი უმთავრესი თავდამსხმელი!!!!! თქვენ რა დათესეთ კახი და როდის მოიმკით, ეს თუ იცით „ფეხბურთელო“, რადგან ქალაქის მერი ვერ აღმოჩნდით და პოლიტიკოსი, რადგან ქუჩის „ბიჭების“ „გამპრავებელი' ხართ და არა ქალაქის მერი, ისევ საკუთარ კარში აპირებთ თქვენს სამშობლოს „ბურთი– გოლი“ გაუტანოთ?? თქვენ ხომ ამას მიჩვეული ხართ ცხოვრების ყველა ეტაპზე!! ამ სიმაღლე ხართ და რა „პატარა კაცი“ ხართ-„პატარა კახი, – წერს თაკო ჩარკვიანი.

კალაძის ანდაზებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზაზა ბიბილაშვილიც გამოეხმაურა.

– რასაც დასთეს, იმას მოიმკიო – ასე გამოეხმაურა კალაძე თაკო ჩარკვიანის ოჯახზე თავდასხმას. თაკო ჩარკვიანმა „დათესა“ ოპოზიციის საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობა და პასუხად მიიღო ხელისუფლების მიერ წახალისებული ფიზიკური ძალადობა.

ახლა გავიხსენოთ, რა დათესა თავად კალაძემ:

1. საკუთარი ძმის მკვლელების მხარეს დადგომა და იმ ადამიანების დევნა, ვინც მისი ძმის მკვლელობა გამოიძია;
2. ყველა მსხვილ ენერგოპროექტში ჩადებული კორუფციული ინტერესი;
3. რვა სულ ქურდთან ძმაკაცობა, დეპორტირებული ლავას ოღლის არაერთგზის „გაქრობა“ რეისიდან და კრიმინალებთან გარიგება წესიერი ადამიანების ინტერესების ხარჯზე.
4. გაზპრომთან იმგვარი ხელშეკრულების დადება, რომელსაც რუსეთი 10 წელი ითხოვდა, მაგრამ ვერ იღებდა;
5. წამლის ჩადებით ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად თავისი კაცის გაყვანა და საბიუჯეტო 300 მილიონზე მოჯდომა;
6. კორცხელის დანაშაულებრივი დაჯგუფების ორგანიზება და დამნაშავეებზე ხელის დაფარება;
7. მტკიცება, რომ ომი საქართველომ დაიწყო.

ამოცანა გვეკითხება, რას მოიმკის კალაძე? – წერს ზაზა ბიბილაშვილი სოციალურ ქსელში.

ფიქრია ჩიხრაძე: „დიდი პროცენტი დგას ოპოზიციის მხარეს და ოპოზიციისგან წამოსული მოთხოვნები მნიშვნელოვანია“

საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩევლის ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ადგილი ჰქონდა ბევრ დარღვევას, სამართლებრივ და სხვა ტიპის გადაცდომას. ამის შესახებ განცხადება ჩიხრაძემ „ტვ პირველის“ ეთერში გააკეთა:

– მეორე ტურში ძალიან ბევრი დარღვევა, სამართლებრივი და სხვა ტიპის გადაცდომა ვნახეთ. ძალიან ბევრი ხმა, ძალიან დიდი პროცენტი დგას ოპოზიციის მხარეს და ოპოზიციისგან წამოსული მოთხოვნები ძალიან მნიშვნელოვანია. პრეზიდენტი და ადმინისტრაცია მზად არის, რომ ამაშიც თავისი წვლილი შეიტანოს თუკი ეს საჭირო გახდება, – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ „ტვ პირველის“ ეთერში.

არ არის ულტიმატუმების დრო“ – ზურაბიშვილი გაერთიანებული ოპოზიციის მოთხოვნას პასუხობს

სალომე ზურაბიშვილი გაერთიანებული ოპოზიციის ულტიმატუმს გამოეხმაურა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაბათილებას, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას და საარჩევნო სისტემის შეცვლას გულისხმობს.

ზურაბიშვილის თქმით, ახლა საჭიროა პოლიტიკური გარემოს დაწყნარება და არჩეული პრეზიდენტის აღიარება.

– არასდროს არ არის ულტიმატუმების დრო. პირველ რიგში, დემოკრატია მოითხოვს, რომ აღიარებული იყოს არჩეული პრეზიდენტი, რომ ჩვენ გადავიდეთ ახალ რეჟიმზე, დაწყნარდეს პოლიტიკური გარემო, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ნუკრი ქანთარია: „სააკაშვილი ჩამოვიდეს, შორიდან რას გვემუქრება“

16 დეკემბერს ნაციონალებმა შეიძლება ერთი პატარა მიტინგი გამართონ და ამაზე დახარჯონ თანხა, მეტი არ მგონია, რამე იყოს მათი მხრიდან მოსალოდნელი

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი **ნუკრი ქანთარია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ნუკრი, ვრცელდება ინფორმაცია, რომ 16 დეკემბერს პრეზიდენტის ინაუგურაცია შეიძლება თბილისში არ ჩატარდეს. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, სად შეიძლება ჩატარდეს?

– სალომე ზურაბიშვილის შტაბი თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, ჩვენ არ ჩავერევით ამ საკითხში. თუ თბილისში არ ჩატარდება ინაუგურაცია, ეს არ იქნება პირველი შემთხვევა. მე მახსოვს, ყოფილა შემთხვევები, როდესაც დედაქალაქის გარდა, სხვა ქალაქებში, მაგალითად ქუთისში, გამართულა პრეზიდენტის ინაუგურაცია.

– პოლიტიკურ კონტექსტში გეკითხებით, ნაციონალური მოძრაობის აქციებს, მათ მიერ გაკეთებულ განცხადებებს თუ უკავშირდება? ისინი ამბობენ, რომ ინაუგურაციას ჩაშლიან...

– არა, არა მგონია ამას უკავშირდებოდეს. თუ ასეა, მაშინ პირიქით, თბილისში უნდა ჩატარდეს! თუმცა, ეს ყველაფერი არჩეული პრეზიდენტის გადასაწყვეტია და მისი გარემოცვის.

– ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნებს ხელისუფლება საერთოდ არ განიხილავს? ისინი ვადამდელ არჩევნებს ითხოვენ. 16 დეკემბრამდე იძლევიან ვადას და ხელისუფლების არაადეკვატურ მანდატზე საუბრობენ.

– პირიქით მგონია, სწორედ ისინი არიან აბსოლუტურად არაადეკვატურები. იცით როგორ არის, ჩხუბის შემდეგ ხელ-ფეხს იქნევენ. ძალიან ცდილობენ, რომ როგორმე თავიანთი ელექტორატის მობილიზება მოახდინონ, რომ მათ არ გაუცრუონ იმედები და არ დაკარგონ, ამიტომ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა არის ამაზე გათვლილი და სხვა არაფერი. ახლავე რომ დაიწყოს არჩევნებთან დაკავშირებული მთელი პროცედურები, მაინც იმ დრომდე მივა, რა დროსაც არჩევნები ისედაც უნდა ჩატარდეს. ორწელიწადზე ნაკლები არის დარჩენილი და როგორ უნდა მოესწროს საარჩევნო კოდექსის ცვლილება, საკონსტიტუციო ცვლილებები. ამა ყველაფერს ხომ აქვს ვადები?! ისე ხომ არ არის?! ამიტომ ვამბობ, ახლავე რომ დაიწყოს, 2020 წლამდე მივა ისედაც. ამიტომ მგონია, რომ ეს უფრო ერთმანეთის გამხნევებაა, ვიდრე რეალური პოლიტიკური გზავნილები და მოთხოვნები.

ჯერ ერთი, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივეჩვიოთ საარჩევნო ციკლის დასრულებას. 2016-2017 წლები რომ იყოს, კიდევ გავიგებდი, მაგრამ ახლა, ამ მიწურულს რა დროა დარჩენილი, რომ არ ჩავამთავროთ ეს ციკლი და ბოლომდე არ მივიყვანოთ?! ამიტომ სრულიად უადგილო მგონია მათი მოთხოვნა.

– ისინი 800 ათას ამომრჩეველზე აპელირებენ.

– გასაგებია, მაგრამ არც სალომე ზურაბიშვილის და ჩვენი ამომრჩეველი არ არის ცოტა. მილიონზე მეტმა ადამიანმა დაგვიჭირა მხარი. ნაციონალური მოძრობის წინააღმდეგ მიცემული ხმები, სალომე ზურაბიშვილისთვის, „ქართული ოცნებისთვის“ მიცემული ხმები 60%-ზე მეტია. ეს არ არის ცოტა, ეს უნდა გაიგოს ოპოზიციამ. ან ესმის, მაგრამ მე მგონია, რომ ეს უფრო არის საკუთარი თავის და მათი ამომრჩევლის გამხნევება. იქ, არც ერთი არ არის სახალხო პოლიტიკოსი, რომ რაღაცა დიდ აქციებს ჩაუდგეს სათავეში.

– მიხეილ სააკაშვილი ხომ არის?

– ინტერნეტით არის.

– ჩამოვალო.

– ჩამოვიდეს, შორიდან რას გვემუქრება. ერთადერთი, რაშიც მე მათ ვეთანხმები, ეს მიშას ჩამოსვლაა. ჩამოვიდეს სააკაშვილი და დროზე დაიკავოს მატროსოვზე თავისი ადგილი. სამართლიანობის აღსრულების პროცესიც უფრო წინ წავა.

16 დეკემბერს ინაუგურაცია უნდა ჩავშალოთო, როგორ?! 20%-იანი სხვაობაა, როგორ უნდა ჩაშალონ? თუ 1% იქნებოდა ან 2-3%, მაშინ კიდევ მესმის, რაღაცა კითხვები რომ გაჩენილიყო ამომრჩეველში, ხალხში. მაშინ კითხვები ჩვენც გაგვიჩნდებოდა, რამე ხომ არ გაგვეპარა, ახლა 20%-იანია სხვაობა და რას ითხოვენ?! ან როგორ უნდა ჩაშალონ პრეზიდენტის ინაუგურაცია?!

– კობახიძე ამბობს, ნუ გაიქაჩებიან იმაზე, რისი რესურსიც არა აქვთო. ეთანხმებით?

– რესურსი მართლაც არა აქვთ, მაგრამ აქ სხვა რამეშია საქმე. ახლა მთავარია, ხელისუფლების მიერ გაცემული დაპირებები შესრულდეს და ამაზე დავიწყოთ ჩვენ მუშაობა. მე ეს უფრო მნიშვნელოვანი მგონია. ნაციონალური მოძრაობა ვერავითარ ხიფათს ვერ შექმნის ქვეყანაში, ამას თვითონაც კარგად ხვდებიან. ეს ყველაფერი მოჩვენებითი აქტიურობაა და არა რეალური პოლიტიკური განწყობები. რომ არ გაქრნენ და რომ იარსებონ, ამისთვის იბრძვიან.

– მათ 800 ათასი ამომრჩევლის მხარდაჭერა აქვთ.

– ეს ხალხი რომ არ გაქრეს და ამ ხალხს რომ არ გაუცრუონ იმედები, ამისთვის იბრძვიან და ამისთვის აქტიურობენ. ახლა ყველაფერი მმართველ პარტიაზეა დამოკიდებული თუ რა ცვლილებებს გაატარებს „ქართული ოცნება“.

– ბატონო ნუკრი, არ მიგაჩნიათ, რომ საარჩევნო კოდექსის ცვლილება რეალურად საჭიროა, რომ საარჩევნო კოდექსი ყველა ხელისუფლების აქილევსის ქუსლია?

– დიახ, გეთანხმებით და რა რეკომენდაციაც იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული ამ საკითხთან დაკავშირებით, იმაზე რეალურად იქნება მუშაობა. უახლოეს ხანში ამ საკითხზე დაიწყება მუშაობა და მშვიდად, წყნარად 2020 წლამდე ეს მოესწრება.

– 2024 წლამდე გაქვთ პროპორციული სისტემის ამოქმედება გადავადებული და როგორ მოესწრება?

– საარჩევნო კოდექსში თუ რაიმე არის გასასწორებელი, მე იმაზე ვაკეთებ აქცენტს ამ შემთხვევაში და ამაზე ვსაუბრობ. საარჩევნო კოდექსში ყველა ის ხარვეზი აღმოიფხვრება, რაზეც ახლა იყო საუბარი.

რაც შეეხება პროპორციულ სისტემაზე გადასვლას, ამაზე მსჯელობა ადრეც იყო, ახლაც შეიძლება თავიდან დაიწყოს, მაგრამ ამ ეტაპისთვის არის ისე, როგორც არის. თუ მოხდება პოლიტიკური შეთანხმება და ამაზე იქნება მსჯელობა, მაშინ კონსტიტუციაში უნდა შევიდეს ცვლილებები. მე ეჭვი მეპარება, მაგრამ მსჯელობა შეიძლება.

– როგორ ფიქრობთ, ეს პოლიტიკური პროცესი როგორ დასრულდება? შეეგუებიან თუ შეეცდებიან არეულობას და გარდატეხის შეტანას?

– არეულობას ვერავინ ვერ შეძლებს ამ ქვეყანაში. არეულობის პერიოდი დასრულდა. 2-3% რომ ყოფილიყო სხვაობა, მაშინ ნაციონალური მოძრაობა უფრო თამამი იქნებოდა. არ დაგიმალავთ ჩემთვისაც ეჭვის საფუძველი იქნებოდა და მოსახლეობასაც გაუჩნდებოდა კითხვები, მაგრამ როდესაც ასეთია სხვაობა, რამდენი პროცენტი გააყალბეს 5, 10, 15%?! უკვე აბსურდში გადავდივართ. ეს უკვე მათაც კარგად აქვთ გაცნობიერებული, მაგრამ ახლა უკან ვეღარ იხევენ. ეს კარგად იციან.

– კულმინაცია რა იქნება?

– კულმინაციამ უკვე გაიარა. 16 დეკემბერს შეიძლება ერთი პატარა მიტინგი გამართონ და ამაზე დახარჯონ თანხა, მეტი არ მგონია, რამე იყოს მათი მხრიდან მოსალოდნელი. კულმინაცია უკვე გავიარეთ, ახლა ვაშაძე შეეცდება, როგორმე თავი არ დაგვავიწყოს, მეტი მას არაფერი არ შეუძლია. თუ ახლა იმას ილაპარაკებენ, რომ სალომე ზურაბიშვილი კი არა, გრიგოლ ვაშაძეა პრეზიდენტი, მაშინ უკვე სულ სხვა ჟანრში გადავლენ, მაგრამ იმედია, ვიღაც მრჩეველი გამოუჩნდებათ, რომელიც ეტყვის, სასაცილოდ ნუ აიგდებთ თავსო.

ისე, ერთი კია, ძალიან დაიღალა ხალხი ამ ძალიან გრძელი საარჩევნო მარათონით და ამ გაუსაძლისი დაძაბულობით. ეს პერიოდი უკვე გავიარეთ. ახლა, 2019 წლიდან ახალი წინასაარჩევნო კამპანია დაიწყება ჯერ შეფარვით და შემდეგ ღიად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, მაშინ კი ძალიან მრავალფეროვანი არჩევანი უნდა ჰქონდეს ხალხს, რომ ადამიანებმა თავისუფალი არჩევანი გააკეთონ.

კალაძემ და ღარიბაშვილმა ერთად უნდა შეკრან გუნდი

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნება“ უნდა ფიქრობდეს საქართველოს გადარჩენაზე და ესე გამოვიდა, რომ საქართველო ფიქრობდა „ქართული ოცნების“ გადარჩენაზე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს.

– ბატონო პაატა, ნაციონალურმა მოძრაობამ კვირას რუსთაველზე საპროტესტო აქცია გამართა, მათ ხელისუფლებას ვადა 16 დეკემბრამდე მისცეს. საუბარია, რომ არ მივიდა იმდენი ხალხი ნაციონალების აქციაზე, რისი მოლოდინიც ჰქონდათო. თუმცა არცთუ ცოტანი იყვნენ. რას აპირებენ ნაციონალები, რამდენად ექნებათ მცდელობა, რომ დესტაბილიზაცია მოაწყონ ქვეყანაში?

– რაოდენობას რაც შეეხება, სტანდარტული რაოდენობა იყო. მათ უნდოდათ ძალის დემონსტრირება და ასე პირდაპირ ხომ არ დაიშლებოდნენ, ამიტომ ეს მიტინგი მოსალოდნელიც იყო და სჭირდებოდათ კიდეც. ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა, მშვიდობიანად დაიშალნენ, მე მგონი, ასეც იყო ჩაფიქრებული. ნაციონალური მოძრაობა ხვდება, რომ მას კარგი შანსები აქვს საპარლამენტო არჩევნებში წარმატებას მიაღწიონ.

– წარმატებაში რას გულისხმობთ?

– ანუ სერიოზულად შეავიწროონ „ქართული ოცნება“ და „ქართულ ოცნებას“ აღარ ჰყავდეს აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში და არ ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა. დღეს ნაციონალური მოძრაობის მთავარი ამოცანაა დაანგრიონ მითი პარტიისა, რომელიც რევოლუციებს აწყობს, რომელიც უხეშია.

ისეთი უსინდისო და უნამუსო ადამიანები, როგორიც არის ნაციონალური მოძრაობა, დედამიწის ზურგზე არ ყოფილა არასდროს

– თუმცა მათი ლიდერისგან, მიხეილ სააკაშვილისგან იყო მსგავსი ტიპის მოწოდებები და დღეს ისმის შეფასებები, რომ ნაციონალები მისგან გამიჯვნას ცდილობენო. ასეა?

– დიახ, რადგან ყველა ხვდება, რომ დღეს არ არის იმის დრო, რაზეც სააკაშვილი საუბრობს. თუ ხალხი მეორე ტურში გამოვიდა და ხმა მისცა ივანიშვილს, ეს არ იყო ივანიშვილისთვის მიცემული ხმა, ეს იყოს მიშას წინააღმდეგ მიცემული ხმა, არა მიშას! ხალხმა არა უთხრა: დესტაბილიზაციას, არეულობას და აგრესიას. სააკაშვილი მანამდე სწორედ ამით იმუქრებოდა. ნაციონალური მოძრაობა თუ მოახერხებს ამ იმიჯისგან გამოსვლას და დარჩენილი 2 წლის განმავლობაში ხალხს დააჯერებს, რომ არის ნორმალური და ღირსეული პარტია, რომელიც ეწერება დღევანდელ ქართულ კონტექსტში და არაფერი საერთო არა აქვს იმ გადამთიელ უცხოელ პირთან, რომელიც საქართველოს მოქალაქეც არაა, ამით მეტს მოიგებენ.

– 2020 წლამდე პერიოდს გულისხმობთ?

– დიახ, რადგან 2 წელიწადში „ქართული ოცნება“ ბევრს ვერაფერს ვერ გამოასწორებს. შეეცდება, მაგრამ ვერ გამოასწორებს. სამაგიეროდ, ნაციონალურ მოძრაობას შეუძლია გამოასწოროს თავისი იმიჯი და გახდეს ნორმალური პარტია. ამ ფონზე მათ გაეზრდებათ შანსები, მეტი ხმები მოიპოვონ და „ქართული ოცნება“ ვეღარ დაარტყამს მათ როგორც რევანშისტებს. პლუსი რაც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა, პირველ რიგში ეს იყო ფული და მეორე ის, რომ აი, ჩვენ თუ არა, მოდის რევანში, მოდის დამანგრეველი ძალა და დესტაბილიზაცია. თუ შეძლებს ნაცმოძრაობა შეცვლას, მაშინ ხელისუფლება ამაზე ვეღარ ილაპარაკებს. მართლაც რამდენ ხანს უნდა ილაპარაკონ 9 წელზე?!

– ერთი წელი ითხოვა ივანიშვილმა, რას მოასწრებს ამ ერთ წელში? ექსპერტები საუბრობენ, რომ რევოლუცია უნდა მოახდინოს კადრების ცვლილებებისო. რამდენად გამოუვა.

– რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა მოახდინოს. დღეს, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, საქართველო დაეხმარა ივანიშვილს პარტიის დალაგებაში. მთელი საქართველო მოძრაობდა, რომ როგორმე გადაერჩინათ „ქართული ოცნება“. სასაცილო იყო ეს. „ქართული ოცნება“ უნდა ფიქრობდეს საქართველოს გადარჩენაზე და ესე გამოვიდა, რომ საქართველო ფიქრობდა „ქართული ოცნების“ გადარჩენაზე. თუ კიდევ მოუწოდა ივანიშვილმა ქართველ ხალხს, რომ მოდით და გადამირჩინეთ „ქართული ოცნება“, ეს ძალიან არასერიოზული იქნება.

– პირველ რიგში რითი უნდა დაიწყოს ივანიშვილმა?

– ეკონომიკური ზრდაა საჭირო, უმუშევრობის განადგურებაა საჭირო. სიღარიბე, სულ ცოტა, უნდა გაჩერდეს მაინც და უნდა დაიწყოს მოძრაობა საშუალო ფენისაკენ. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საშუალო ფენას. საჭიროა, რომ პოლიტიკური სპექტრი შეიცვალოს. საჭიროა, რომ უარი ითქვას მაჟორიტარულ სისტემაზე და გადავიდეთ პროპორციულ სისტემაზე. სასამართლო სისტემა უნდა გასუფთავდეს. უნდა დასრულდეს ეს მართლაც სამარცხვინო გაუგებრობა ამ კრიმინალურ დანაშაულებებზე. უნდა გაირკვეს, რა მოხდა და დამნაშავეები დაისაჯონ. სირცხვილია, როდესაც მიდის წვალება ამ შვილმკვდარი მამების. თუ ეს საკითხები მოგვარდა, რა თქმა უნდა, „ქართულ ოცნებას“ შანსები ეზრდება. ხოლო თუ არ მოგვარდა, მაშინ ხალხი აღარ გამოვა „ქართული ოცნების“ გადასარჩენად.

– გამოჩნდება ახალი ოპოზიციური ძალა, ვისაც ხალხი მხარს დაუჭერს. სულ ისმის მესამე ძალა, სადაა ეს მესამე ძალა?

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ლევან ჩაჩუა: „არჩევნები ორივე მხრიდან გაყალბდა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ქართულმა ოცნებამ“ და ნაცმოძრაობამ თავის სატელიტებთან ერთად ყველაფერი გააკეთეს ორპარტიულობის შენარჩუნებისთვის“

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებსა და დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ქართული იდეის“ ლიდერ **ლევან ჩაჩუას.**

– ნაციონალური მოძრაობა და მასთან მდგომი გაერთიანებული ოპოზიცია არ ცნობს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს და ამბობს, რომ არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ გააყალბა სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ. „პატრიოტთა ალიანსი“ არჩევნების გაყალბებას ნაცმოძრაობას ედავება. უცნაური სიტუაცია ხომ არ შეიქმნა?

– საპრეზიდენტო არჩევნების დროს ნამდვილად იყო ფალსიფიკაცია. არჩევნები ორივე მხრიდან გაყალბდა.

– გამოდის, რომ ის, რასაც გაყალბებაზე ამბობენ, ყველა შემთხვევაში მართალია?

– მართალია, მაგრამ ერთი მხრივ, ნაცმოძრაობა, მისი სატელიტები, მეორე მხრივ კი „პატრიოტთა ალიანსი“ ცალმხრივები არიან. ბოლომდე სიმართლეს არც ერთი მათგანი არ ამბობს.

– რა მოიტანა ამ ორმხრივმა გაყალბებამ?

– რა მოიტანა და მანკიერი საარჩევნო სისტემის გამყარება. ამ საზიზღარი სისტემით, პოლიტიკაში უნდა იყვნენ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა თავისი სხვადასხვა განშტოებით. „ქართულმა ოცნებამ“ და ნაცმოძრაობამ ერთად ყველაფერი გააკეთეს ორპარტიულობის შენარჩუნებისთვის.

როგორ შეიძლებოდა, ნაცმოძრაობას მიეღო 800 ათასამდე ხმა მაშინ, როცა მნიშვნელოვან მიტინგზე 4 თუ 5 ათასი კაცი ძლივს მოაგროვეს ნაცმოძრაობამ და მასთან მყოფმა პარტიებმა, რომლებიც თავს კოალიციას უწოდებენ! იმისთვის, რომ კვირას ეს მიტინგი შემდგარიყო, დაიხარჯა მთელი გაერთიანების რესურსი, ხალხი ჩამოიყვანეს რეგიონებიდან. მათი „მარშრუტკები“ რესპუბლიკის მოედანზე იდგა და ვიდეო და ფოტომასალებიც ყველამ ვნახეთ.

– მეორე ტურზე გამოჩენილი დიდი აქტივობა რისი ნიშანია?

– ამ ორმა ოდიოზურმა ძალამ მიმართა ძველ ნაცად ხერხს და ხალხი საარჩევნო უბნებთან მიიყვანა. მეოთხე არჩევნებია, საზოგადოებას აშინებენ, არიქა, მიშა მოდის, თუ „ოცნებას“ არ დაუჭერთ მხარს, ქვეყანა დაიღუპებაო. პირველი ტურის დროს ნაკლები აქტივობა იყო. ეს უცხოელმა დამკვირვებლებმაც აღნიშნეს. მეორე ტურის წინ გათამაშდა აპრობირებული სცენარი და ხალხი მიაწყდა უბნებს. სამწუხაროდ, ჩემი მოწოდებები არჩევნების ბოიკოტის თაობაზე ბევრმა არ შეისმინა. ადამიანები წამოეგნენ მორიგ ტრიუკს.

– ნაკლები ხალხის მისვლით რა შეიცვლებოდა?

– შედეგი სხვა იქნებოდა. წინასწარ დაგეგმილი 60%-იანი მხარდაჭერა 40%-ის წინააღმდეგ არ დაფიქსირდებოდა. ბევრმა ამომრჩეველმა რეალურად ხმა მისცა არა სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად, არამედ, სააკაშვილისა და მისი რეჟიმის წინააღმდეგ. ჯერჯერობით, ივანიშვილს თოჯინების სპექტაკლი გამოუვიდა, მაგრამ კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანს.

– და „ოცნების“ მმართველობა სამუდამო ვერ იქნება?

– „ოცნება“ და ნაცმოძრაობა მედლის ორი მხარეა. ისინი ერთმანეთს სჭირდებიან და ერთმანეთს აძლიერებენ. ერთი მათგანის ჩამოშლა მეორესაც დააუძლურებს.

– გაკრეფილი პოლიტიკური ველი შეივსება?

– მესამე პოლიტიკური ცენტრზე ლაპარაკი გაცვდა და ეს ცენტრიც მომაბეზრებელი გახდა. ხალხს მოთხოვნა აქვს ახალ ჯანსაღ ეროვნულ ძალაზე.

– საპარლამენტო რესპუბლიკა თავისთავად გულისხმობს მრავალპარტიულობას.

– ბუნებრივია, ერთპარტიულობა და ორპარტიულობა არ ვარგა, მაგრამ მომავალ პარლამენტში მანდატები ისევ იმ პოლიტიკურმა

პარტიებმა არ უნდა დაიკავონ, რომლებიც 30 წელიწადი და მეტია, ანგრევენ ქვეყანას.

– იქნება იმის შესაძლებლობა, რომ პარლამენტი ახალი ძალებით დაკომპლექტდეს?

– სხვა ძალებისა არ ვიცი, მაგრამ „ქართული იდეა“ ამისკენ ნაბიჯებს დგამს. ცოტა ხნის წინ 5 სუბიექტი შევიკრიბეთ და გაერთიანებაზე შევთანხმდით. ერთად დავდექით „ქართული იდეა“, პრეზიდენტობის კანდიდატი ბოლო არჩევნებში გიორგი ანდრიაძე თავისი მოძრაობით, გურამ ფალავანდიშვილი თავისი ორგანიზაციით, კონსტანტინე მთავრიშვილი თავისი საზოგადოებრივი მოძრაობით და ხათუნა მაჭავარიანი „ქალთა პარტიით“.

ჩვენ ყველანი არც სააკაშვილთან ერთად ვყოფილვართ, არც „ქართულ ოცნებასთან“, არც შევარდნაძისდროინდელ კორუფციულ სქემებში მიგვიღია მონაწილეობა, არც მისი ჩინოსნები ვიყავით. სააკაშვილმა უსამართლოდ დამიჭირა, ის რეჟიმი გიორგი ანდრიაძესაც სდევნიდა.

– ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე რას იტყვით?

– ვადამდელი არჩევნები არსებული მანკიერი საარჩევნო სისტემით აწყობთ „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას. ძირეული რეფორმის გარეშე არჩევნების ჩატარებას აზრი არა აქვს. შეიძლება ეს არ იყოს ვადამდელი არჩევნები. მთავარია, საარჩევნო სისტემა სამართლიანი და დემოკრატიული გახდეს.

– ადრეც მოგითხოვიათ საარჩევნო კომისიების სანდო ადამიანებით დაკომპლექტება და ხმის დათვლა პირდაპირ ეთერში.

– ეს მოთხოვნები ძალაშია. მათ ჩვენი პარტნიორებიც უერთდებიან. ასევე გასასწორებელია მიცვალებულებით გაბერილი ამომრჩეველთა სიები. ადრე „ოცნება“ ამ სიებს აკრიტიკებდა, ახლა კი კარგად იყენებს.

გაყალბებაში დახელოვნებული ნაცმოძრაობა და „ოცნება“ უნდა წავიდნენ ხელისუფლებიდან. ნაცმოძრაობა აღიარებულია მთავარ ოპოზიციად, თუმცა ნაციონალები ხელისუფლებაშიც არიან. „ქართულმა ოცნებამ“ მათ პარლამენტშიც დაუთმო ადგილები, საკრებულოებსა და მუნიციპალიტეტებშიც, პროკურატურაში, შსს-სა და სასამართლო სისტემაშიც. ყველგან ნაციონალები არიან, ამ დროს ხალხს აჩვენებენ ნაცებთან პოლიტიკური ორთაბრძოლის სცენებს. ეგ რა არის, გრიგოლ ვაშაძე ცინიკურად აცხადებს, სააკაშვილთან არავითარი კავშირი არა მაქვსო.

– სად თქვა ეს ვაშაძემ?

– მეორე ტურის შემდეგ ბიბისისთვის მიცემულ ინტერვიუში. მან ისიც აღნიშნა, რომ ეს არჩევნები იყო ბრძოლა მასა და ივანიშვილს შორის. სააკაშვილი, თურმე, არაფერში არ მონაწილეობს.

ფოთში სტიქიისგან მიყენებული ზარალი მილიონ ლარს აღწევს

ფოთში ძლიერი ქარისგან მიყენებულმა ზარალმა მილიონ ლარს მიაღწია. ამის შესახებ ფოთის ვიცე-მერმა კოტე თოფურიამ თქვა და დასძინა, რომ ეს პირველადი მონაცემებია, სპეციალური კომისია კი ზარალის დათვლას აგრძელებს. ინფორმაციას 1tv.ge ავრცელებს.

წინასწარი ინფორმაციით, დაზიანებულია 94 კერძო სახლი და მუნიციპალურ ბალანსზე არსებული 40 ობიექტი.

– პირველადი დახმარებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 10 ათასი ლარი, დანარჩენი თანხა კი ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა. უბნებზე, სადაც სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი დიდია, ამ დრომდე აღდგენითი სამუშაოები გრძელდება, – განაცხადა კოტე თოფურიამ.

სტიქიით დაზარალებულთა დახმარება დაიწყეს აბაშის მუნიციპალიტეტშიც.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 3 დეკემბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოიდარებს.

ძლიერმა ქარმა ზარალი სამივე რეგიონს – იმერეთს, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და გურიას მიაყენა.

კალაძემ და ღარიბაშვილმა ერთად უნდა შეკრან გუნდი

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– ახალგაზრდები უნდა გამოჩნდნენ მესამე ძალაში. ძველი სახეები ხალხს აღიზიანებს, აღარ უნდათ. მაგალითად, ვაშაძე სულაც არ იყო საუკეთესო სახე ნაციონალური მოძრაობისთვის. მათ უნდა მოახერხონ ახალგაზრდა, ქარიზმატული, ჭკვიანი და ევროპული აზროვნების ლიდერის შერჩევა. ასევე უნდა გადამალონ სააკაშვილი, საერთოდ უნდა დაადუმონ. ჟურნალისტებმა იციან ნამეტანი გადაყოლა ამ სააკაშვილზე. არაფერი ფიგურა ეგ არ არის. სააკაშვილი დღეს ნულია!

– „ოცნებაზე“ რას იტყვით?

– ამავე დროს უნდა გაიწმინდოს „ქართული ოცნება“. მე ვფიქრობ, რომ დაიშლება „ქართული ოცნება“. ამ გუნდიდან უნდა გამოეყონ ჯანსაღი ძალები. ჩემი აზრია, თავს არავის ვახვევ, მაგრამ კალაძემ და ღარიბაშვილმა რომ მოახერხონ თავისი ძალების მობილიზება, იქიდან ერთი კარგი გუნდი შეიკვრებოდა. მათ უარი უნდა უთხრან მათ, ვინც საძოვარზეა გამოსული. ისინი მედროვეები არიან და მხოლოდ ივანიშვილს შესაციცინებენ ხელებსა და პირში. მეტი არაფერი აინტერესებთ.

– ახალგაზრდული ფრთა უნდა წამოიწიოს წინა პლანზე?

– კი, აუცილებლად. თან უნდა ჩანდეს, საიდან მოდის ეს ხალხი. რა წარსული აქვთ. მაგალითად, ბახტაძე და კობახიძე არ ვიცით, საიდან მოდიან. რა ღირსებები აქვთ, რითი დაიმსახურეს ეს თანამდებობები. 2011-2012 წლის მოვლენებში ისინი არ მონაწილეობდნენ. არსად არ ჩანდნენ. ბახტაძე საერთოდ ნაციონალებში ყოფილა. ამიტომ უნდა მოვიდეს ის ხალხი, ვინც 2012-ში იბრძოდა, ებრძოდა ნაციონალურ მოძრაობას. რაც მთავარია, უნდა გაიწმინდოს ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის კადრებისგან. მე არ ვამბობ, რომ სამსახურიდან გაყარონ ამდენი ხალხი, მარამ ნუ იქნებიან საკვანძო თანამდებობებზე, ნუ იქნებიან მინისტრებად და მინისტრის მოადგილეებად.

– შეძლებს მთლიან რებრენდინგს „ქართული ოცნება“?

– მე ეჭვი მეპარება რომ შეძლოს. გაუჭირდება, მაგრამ ეს ამოცანები უნდა დაისახოს მიზნად. ხალხი არ არის უმადური, ხალხი ხედავს, როცა რაღაცას აკეთებს. ხალხი ბრაზობს, როცა ხედავს, რომ მის ხარჯზე გინდა ცხოვრება.

– გამოვიდა ინფორმაციები, რომ ივანიშვილი დეპუტატებს დამუქრებია, ბიზნესების გარეშე დაგტოვებთო.

– არ მიკვირს, რადგან ასეთი სამარცხვინო და სუსტი პარლამენტი არ ყოლია საქართველოს არასდროს. ყველა კრიშავს თავის ბიზნესს და ემსახურებიან თავის თავს და არა სახელმწიფოს. მომავალში პარლამენტში უნდა შევიდნენ ღირსეული ადამიანები. „ქართული ოცნების“ მთავარი ამოცანა უნდა იყოს დღეს, რომ გააუქმოს მაჟორიტარული სისტემა, თორემ ეს პირველ რიგში მათ დაანგრევს. ასევე კარგი იქნება თუ წავა ვადამდელ არჩევნებზე. თუმცა ვადამდელი ჩემთვის მთავარი არ არის, მთავარია პროპორციულზე გადასვლა.

– ნაცმოძრაობა აცხადებს, რომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ვადამდელი არჩევნებიაო.

– ისეთი უსინდისო და უნამუსო ადამიანები, როგორიც არის ნაციონალური მოძრაობა, დედამიწის ზურგზე არ ყოფილა არასდროს. თვითონ რომ ხელისუფლებაში იყვნენ, მაშინ მოუწოდებდა ოპოზიცია, რომ გადასულიყვნენ პროპორციულ სისტემაზე და დღეს მათი მხრიდან პროპორციულ სისტემაზე ლაპარაკი, ეს არის უსინდისობა და უნამუსობა.

ნინო ბურჯანაძე საარჩევნო სისტემის შეცვლას ითხოვს

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ 6 თვის განმავლობაში არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. მისივე თქმით, „დემოკრატიული მოძრაობა“ პირველ რიგში საკონსტიტუციო ცვლილებებს მოითხოვს.

– საუკეთესო შემთხვევაში, ვადამდელი არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ერთი წლის შემდეგ. ამ ერთი წლის განმავლობაში ყველა პოლიტიკური ძალა მეტ-ნაკლებად მოახერხებს მომზადებას, ამომრჩეველიც გადახედავს საკუთარ გადაწყვეტილებას, – განაცხადა ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი იმ ფაქტსაც გამოეხმაურა, რომ შესაძლოა პრეზიდენტის ინაუგურაცია დედაქალაქში არ ჩატარდეს.

– საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი გახლავართ და არ მახსენდება შემთხვევა, პრეზიდენტის ინაუგურაცია არა დედაქალაქში, არამედ სხვაგან ტარდებოდეს. ეს იცით რისი ნიშანია? ინაუგურაციაზე საუბრის დაწყება იმის ნიშანია, რომ ხელისუფლება ძალიან შეშინებულია და მთელი ის ბაქი-ბუქი, რომ „არჩევნები 2020 წელს ჩატარდება, ვის უნდა დაველაპარაკოთ“ და ა.შ. დიდი ბოდიში, ბატონო ხელისუფლების წარმომადგენლებო, მაგრამ თქვენი უტვინობით, მუდმივი ზრუნვით, რომ ხელისუფლება შეგენარჩუნებინათ და რეალური ოპოზიცია არ გაძლიერებულიყო, „ნაციონალური მოძრაობა“ ისე გააძლიერეთ, მოგვწონს თუ არა, მათ 800 000-მა კაცმა დაუჭირა მხარი. ეს პირადად ივანიშვილის და იმ გათავხედებული ახალგაზრდა პოლიტიკოსების დამსახურებაა, მართლა პოლიტიკოსები რომ ჰგონიათ თავი, – აცხადებს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე.

კახა კალაძე: „დღეს სამშენებლო სექტორი და მშენებლობა ერთგვარ დანაშაულად იქცა“

– სამშენებლო რეგულაციების აუცილებლობა დღის წესრიგში იდგა, რადგან იმ ქაოტური მშენებლობებისგან, რაც წლების განმავლობაში დედაქალაქში ხორციელდებოდა, შედეგიც მივიღეთ. ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, დედაქალაქი რამდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სწორედ სამშენებლო სექტორის გამო, – ამის შესახებ „კომერსანტს“ თბილისის მერმა კახა კალაძემ ექსკლუზიურად განუცხადა.

თბილისის მერი მიიჩნევს, რომ ქაოტური მშენებლობები სექტორზე რეგულაციების არარსებობამ და მუნიციპალიტეტის მხრიდან არასწორმა მიდგომებმა გამოიწვია.

„კომერსანტის“ კითხვაზე – მაშინ, როდესაც სახელმწიფო სამშენებლო ბიზნესის განვითარებას ითხოვს და ამის ფონზე კერძო სექტორს რეგულაციებს უწესებს, როგორ უნდა განვითარდეს სამშენებლო ბიზნესი? თბილისის მერი გვპასუხობს, რომ:

– ჩვენ მშენებლობების წინააღმდეგები არ ვართ, რადგან ეს ეკონომიკური კომპონენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ სწორად განხორციელებული მშენებლობები ძალიან მნიშვნელოვანია.

დღეს სამშენებლო სექტორი და მშენებლობა ერთგვარ დანაშაულად იქცა. მოსახლეობას ყველა მშენებლობა არასწორი ჰგონია. ეს იმის შედეგია, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა.

* * *

თბილისის 2019 წლის ბიუჯეტი მილიარდ ლარს გადააჭარბებს, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ საქმიანობის ერთი წლის ანგარიშის პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ამ ეტაპზე, დედაქალაქის ბიუჯეტი 921 მილიონი ლარით არის განსაზღვრული, თუმცა სპეციალური ტრანსფერების შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება.

– დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ფინანსთა მინისტრს იმ თანადგომისთვის, რომელიც დედაქალაქის მიმართულებით არსებობს. 2019 წლის ბიუჯეტი 921 მილიონი ლარი იქნება, თუმცა სპეციალური ტრანსფერების შემდეგ მილიარდ ლარს გადააჭარბებს. აქედან 35%, ანუ 327 მლნ ლარი ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით დაიხარჯება, ინფრასტრუქტურისთვის გათვალისწინებულია 455 მლნ ლარი, ეკოლოგიისთვის – 88 მლნ ლარი, გამწვანებაზე კი 26 მლნ ლარი დაიხარჯება, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისი განცხადებით, ერთი წლის განმავლობაში, დედაქალაქში მართვის პოლიტიკის მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი და რეფორმა განხორციელდა.

– სწორი მენეჯმენტის გარეშე, შეუძლებელია ვისაუბროთ წარმატებაზე და ის პროექტები განვახორციელოთ, რომლებიც ჩვენი დედაქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. როდესაც მერიაში მოვედით, პირველ რიგში, ინსტიტუციური რეფორმების გატარება დავიწყეთ, რის შედეგადაც, ურბანული განვითარების სამსახური შეიქმნა, რომელიც ქალაქის გრძელვადიანი და სწორად განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. განისაზღვრა სატრანსპორტო და გარემოს დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სამსახურები, შეიქმნა „ეკოსერვისი ჯგუფი“ – ე.წ. თბილისის მებაღე. ესენი არიან ის ადამიანები, ვინც გამწვანებაზე, სკვერების, პარკების მოვლა-პატრონობაზე ზრუნავენ. ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალური ინსპექციის არსებობა, რომლის თანამშრომლებიც ქალაქში წესრიგს იცავენ, მშენებლობებს აკვირდებიან, და აქტიურ მონიტორინგს ახორციელებენ, – განაცხადა კახა კალაძემ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რიცხვი 15.2%-ით შემცირდა

საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა ოქტომბერში 3-ით შემცირდა, 21-ით შემცირდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობა და კომერციული ბანკების 1 სერვის-ცენტრი დაიხურა. სებ-ის სტატისტიკის მიხედვით, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოსთვის, საქართველოში 67 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოპერირებდა და წლიურ ჭრილში მათი რაოდენობა 15.2%-ით არის შემცირებული.

2018 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის საქართველოში ვალუტის გადამცვლელი 1.030 ჯიხური ოპერირებდა წლიურად მათი რაოდენობა 83-ით არის შემცირებული.

რაც შეეხება კომერციულ ბანკებს, ოქტომბრის ბოლოსთვის 15 კერძო ბანკი იყო ბაზარზე, რაც 1-ით ნაკლებია შარშანდელ ოქტომბერთან შედარებით. 15-დან 14 ბანკში, უცხოური კაპიტალი მონაწილეობს. მათ აქვთ 134 ფილიალი და 799 სერვის-ცენტრი.

ჯამური სააქციო კაპიტალის მოცულობამ ოქტომბრის ბოლოსთვის 4.861 მლრდ ლარი შეადგინა.

1 წელიწადში ბანკების ჯამური სააქციო კაპიტალი 599 მლნ ლარით გაიზარდა.

bm.ge

ბიზნესმბუდსმენი კალაძის ერთწლიან საქმიანობას აფასებს — ბიზნესისთვის მთავარია თამაშის წესები იყოს ცხადი და კომუნიკაცია აქტიური

„მერის ერთწლიანი მუშაობიდან განსაკუთრებით გამოვყოფდი ურბანული ტრანსპორტის მიმართულებას“ – ამის შესახებ „კომერსანტს“ ბოზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ განუცხადა.

ბიზნესომბუდსმენი მიიჩნევს, საინტერესო და მასშტაბურად მიმდინარეობს ძველი სატრანსპორტო საშუალებების ჩანაცვლების პროექტი.

– ვგულისხმობ როგორც ავტობუსების, ასევე მეტროს მიმართულებით განხორციელებულ პროექტებს. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რამაც ქალაქის სატრანსპორტო სისტემა უნდა გააუმჯობესოს, – განაცხადა ლექვინაძემ.

ბიზნესომბუდსმენმა კახა კალაძის მიღწევებიდან ძველი თბილისის რეაბილიტაციის საკითხიც გამოყო.

ირაკლი ლექვინაძე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტის სამშენებლო რეგულაციების შესახებ აცხადებს, რომ „ბიზნესისთვის მთავარია თამაშის წესები იყოს ცხადი და კომუნიკაცია აქტიური. ბოლო პერიოდში კომუნიკაცია აქტიურია, რასაც მივესალმები.“

2017 წლიდან დღემდე სოსო ჯაჭვლიანის დაქირავება სახელმწიფოს 129,950 ლარი დაუჯდა

საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის სოსო ჯაჭვლიანის ყოველთვიური ანაზღაურება „თეთნულდი დეველოპმენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე 6.150 ლარია.

აღნიშნული ინფორმაცია bm.ge-მ შპს „თეთნულდი დეველოპმენტიდან“ გამოითხოვა.

– სოსო ჯაჭვლიანი ამავე კომპანიის წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისთვის/წევრისთვის განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს ასრულებს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 6.150 ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, – განმარტეს კომპანიაში.

აღსანიშნავია, რომ „თეთნულდი დეველოპმენტის“ სამეთვალყურეო საბჭო 2017 წელს შეიქმნა და პარლამენტარის მანდატის გაუქმების შემდეგ, სოსო ჯაჭვლიანი იმავე წლის თებერვალში საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

Bm.ge 2017 წელსაც წერდა, რომ შპს „თეთნულდი დეველოპმენტში“ სამეთვალყურეო საბჭო სპეციალურად სოსო ჯაჭვლიანისთვის შეიქმნა, მაგრამ აღნიშნულს ოფიციალური პირები, ბუნებრივია, არ ადასტურებდნენ.

სააგენტო სოსო ჯაჭვლიანთან დაკავშირებას და იმის გაგებას შეეცადა, რა გააკეთა მან თავმჯდომარის პოსტზე.

ყოფილმა დეპუტატმა bm.ge-ის განუცხადა, რომ ობიექტური მიზეზების გამო საუბარი არ შეეძლო, ამიტომ მოკლე პასუხით შემოიფარგლა.

„უამრავი რაღაც გაკეთდა. მოგვიანებით მოგიყვებით“ – აღნიშნა მან.

თავის მხრივ, bm.ge-ისთვის ცნობილი გახდა, რომ უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში კომპანია „თეთნულდი დეველოპმენტი“, რომელიც 2013 წელს შეიქმნა, ფუნქციონირებას შეწყვეტს, რაც, სავარაუდოდ, „თეთნულდი დეველოპმენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმებასაც ნიშნავს.

სოსო ჯაჭვლიანი აცხადებს, რომ შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ გაუქმების საკითხს გაარკვევს.

გარდა ამისა, თავის მხრივ, კომპანიიდან დეტალურად მოგვწერეს განხორციელებული სამუშაოების და პროექტების შესახებ.

„შპს „თეთნულდი დეველოპმენტმა“ დაასრულა დაკისრებული ვალდებულებები და, შესაბამისად, უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას. 2013 წლის მაისში შეიქმნა შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“ და დაევალა თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტზე ინფრასტრუქტურის მოწყობა.

შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ მიერ განხორციელდა თეთნულდის სამთო სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების დეტალური პროექტირება და მშენებლობა, რომელიც მოიცავს:

ხუთ ერთეულ საბაგირო გზას (T2, T3, T4, T4, TH). აღნიშნული საბაგირო გზების დეტალების დასაწყობების მიზნით 2013 წელს დაპროექტდა და აშენდა 4 ჰექტარ ტერიტორიაზე, დახურული და ღია სასაწყობე პორტალი, სადაც მოხდა კომპანია პომაგალსკის (POMA) მიერ მოწოდებული საბაგირო გზების დეტალების დასაწყობება.

სასრიალო ტრასები და დროებითი გზები, მთის სადრენაჟე ქსელი, ელექტრომომარაგების ქსელი (18 ერთეული სატრანსფორმატორო), წყალმომარაგების ქსელი (5 ერთეული სათავე ნაგებობა, 4 ერთეული რეზერვუარი, ერთი წლის სატუმბი სადგური), წყალარინების ქსელი (ორი ერთეული ბიო გამწმენდი ნაგებობა) პარკინგი გათვლილი 300 ავტომანქანაზე, კურორტის ადმინისტრაციული შენობა (1400 კვ.მ) სპეცტექნიკისათვის ანგარ სახელოსნოები (ორი ერთეული), ზვავდამცავი, თოვლის დამჭერი ღობეები, თოვლსატკეპნი მანქანების ანკერები (ცხრა ერთეული), კურორტისთვის აუცილებელი სპეც-ტექნიკის შეძენა, საწვავმარაგებელი სპეც-ტექნიკისათვის“ – აცხადებენ კომპანიაში.

bm.ge

სკვერების მოსაწყობად თბილისელებმა 224 ავტოფარეხი დათმეს

სკვერებისა და სპორტული მოედნების მოსაწყობად მოქალაქეებმა 224 ავტოფარეხი დათმეს. სწორედ ამდენი მფლობელი გამოეხმაურა და დაეთანხმა თბილისის მერიის წინადადებას, აეღოთ ძველი ავტოსადგომები და მათ ნაცვლად სკვერები და სპორტული მოედნები მოეწყოთ.

– ავტოფარეხები დიდი პრობლემაა ბევრ უბანში და ჩვენს ინიციატივას, სხვათა შორის, მოქალაქეები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. მოქალაქეები თავად წყვეტდნენ, სკვერი მოგვეწყო თუ სპორტული მოედანი. ამ ეტაპისთვის აღებულია 224 ფარეხი და მიმდინარეობს ტერიტორიების მოწესრიგების სამუშაოები. ზოგან გამწვანების, ზოგან კი, სპორტული მოედნის მშენებლობის, – განაცხადა დედაქალაქის მერმა კახი კალაძემ მუშაობის 1-წლიანი შედეგების შემაჯამებელ ღონისძიებაზე.

bm.ge

ნიკოლოზ ჩხეტიანი: „ვალების განულების პროგრამაზე დაიხარჯება იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება“

„ქართუ“ ფონდის გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანი ბმ.გე-ისთან ამბობს, ე.წ. ვალდების განულების პროგრამაზე, ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული ფონდიდან დაიხაჯება „იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება“.

ჩხეტიანის თქმით, ამ დროისთვის მობილიზებული თანხის მოცულობა 100 მილიონი ლარია.

კითხვაზე, თუ რატომ არ ამოქმედდა ახალი ვებ-გვერდი, სადაც მოქალაქეებს საკუთარი თავის გადამოწმების შესაძლებლობა ექნებოდათ, ჩხეტიანი პასუხობს, რომ ამის მიზეზი არის ის, რომ საკრედიტო ორგანიზაციებს მათთვის სიების მიწოდება არ დაუსრულებიათ.

– ვებ-გვერდი ტექნიკურად მზადაა, ველოდებით საკრედიტო დაწესებულებებიდან მოვალეთა სიების მოწოდებას. როგორც კი მივიღებთ სიებს, მაშინვე ავსახავთ ვებ-გვერდზე. პროცესი ორმხრივია და მეორე მხრიდან სიების მოწოდების გარეშე შეუძლებელია მათი მოსახლეობისთვის გაცნობა. როგორც კი დაიდება სიები, მაშინვე გავასაჯაროვებთ ვებ-გვერდს. მოქალაქეთა მიერ საკუთარი სახელის გადამოწმება, რა თქმა უნდა, საბანკო საიდუმლოების დაცულობის პრინციპით მოხდება, – განაცხადა ჩხეტიანმა.

სესხების განულება ე.წ. შავ სიაში არსებულ 600.000 მსესხებელს ეხება, რომელთაც ერთ წელზე უფრო მეტად ვადაგადაცილებული სესხები აქვთ. მთავრობისა და „ქართუს“ ინფორმაციით, ამ სესხების პორტფელის ღირებულებაა 1.5 მილიარდი ლარი.

საერთაშორისო დამკვირვებელთა შეფასებით, ვალების ჩამოწერის პროგრამა ხელისუფლების მხრიდან, სავარაუდოდ, ამომრჩეველთა ხმების ყიდვას ემსახურებოდა.

– მთავრობა მოსახლეობას ვალების ჩამოწერას დაჰპირდა. საქართველოს 600.000 მოქალაქეს 1.5 მილიარდი ლარის ოდენობის ვალს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან დაკავშირებული კერძო საფინანსო უწყება დაუფარავს, რაც შესაძლოა გაუთანაბრდეს ხმების ყიდვის ფაქტს. ხმების ყიდვა აკრძალულია საარჩევნო სისხლის და სამართლის კოდექსებით, – წერია ეუთო-ს დასკვნაში.

ხმების ჩამოწერის პროგრამის კანონიერებას მთავარი პროკურატურა სწავლობს.

bm.ge

ზაზა სარალიძე: „მთავარ პროკურორსა და შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვედრასთან დაკავშირებით ოფიციალურად მივმართავ“

– აქამდე არაფრად არ მთვლიდნენ და საქმის ვითარებას არ მაცნობდნენ, ახლა თავად მივაკითხავ ისე, რომ საქმეს გავეცნო, – აღნიშნულის შესახებ ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამამ, ზაზა სარალიძემ ჟურნალისტებთან თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი და მალხაზ მაჩაღიკაშვილის სარჩელის განხილვამდე განაცხადა.

როგორც ის აღნიშნავს, დღეიდან გეგმავს შინაგან საქმეთა მინისტრსა და მთავარ პროკურორს შეხვდეს, რათა საქმის მასალებს გაეცნოს.

– ჩავერთვები ამ პროცესში აქტიურად, ოფიციალურად მივმართავ მთავარ პროკურორსა და შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვედრასთან დაკავშირებით, რათა დეტალებს გავეცნო, თუ რა ხდება საქმესთან დაკავშირებით.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრის განაცხადს, დაველოდოთ სასამართლო პროცესებსო, მცდარი აზრი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა იქიდან გამომდინარე, რომ არც ერთი მოსამართლე არაა უფლებამოსილი, საქმეში ახალი ფიგურანტი შეიყვანოს.

აქციები ჩვეულებრივად გრძელდება და გაგრძელდება მანამდე, ვიდრე სამართლიანობა არ იქნება აღდგენილი, – აცხადებს სარალიძე.

სოფელ ფოკაში განზრახ მკვლელობის საქმეზე ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნინოწმინდის რაიონში, სოფელ ფოკაში მომხდარი 1985 წელს დაბადებული ხ.ტ.-ს განზრახ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია 1 პირი.

სამართალდამცველების მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ 1986 წელს დაბადებულმა გ.მ. წარსულში არსებული პირადი კონფლიქტის გამო და შურისძიების მოტივით თანასოფლელი ხ.ტ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა. სამართალდამცველებმა გ.მ. მომხდარიდან რამდენიმე საათში ნინოწმინდის რაიონში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 7-იდან 15-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კახა ასკურავამ სარდაფში ყალბი პირადობები აღმოაჩინა

ლანჩხუთის საკრებულოს დეპუტატი კახა ასკურავა აცხადებს, რომ სარდაფში, რომელშიც „ყალბი პირადობები აღმოაჩინა“, კონკრეტული საქმე ჰქონდა, რომლის შესახებ პროკურატურასაც უამბო. ამის შესახებ ასკურავამ ჟურნალისტებს მთავარ პროკურატურაში გამოკითხვის დასრულების შემდეგ განუცხადა.

– დამრჩა შთაბეჭდილება, რომ აპირებენ გამოძიების გაგრძელებას. ვერ გეტყვით, რა შედეგი დადგება. იყო კონკრეტული შეკითხვები საქმესთან დაკავშირებით, ჩვეულებრივი საგამოძიებო მოქმედებები. იყო დეტალებზე საუბარი – სად, როგორ, რანაირად, მე რა ეჭვი მაქვს ამასთან დაკავშირებით. მე ისედაც ვაპირებდი, მიმემართა გამოძიებისთვის და მეთანამშრომლა. კარგია, რომ დაინტერესდა პროკურატურა. ვნახოთ, ისინი რას დაადგენენ, – განაცხადა ასკურავამ.

შეგახსენებთ, რომ ლანჩხუთის საკრებულოს დეპუტატმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ კახა ასკურავამ მთავარ პროკურატურაში მტკიცებულების სახით ის პირადობის მოწმობები მიიტანა, რომელიც, მისი თქმით, „ლანჩხუთში ერთ-ერთ სარდაფში აღმოაჩინა და რომელსაც ხელისუფლება არჩევნების გაყალბებისთვის იყენებდა“.

ზუგდიდში, საცხოვრებელ სახლში შუა ხნის მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ზუგდიდში, ხორავას ქუჩაზე შუა ხნის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. გარდაცვლილის მეზობლის ინფორმაციით, მას ორი დღის განმავლობაში ეძებდნენ. სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია. შს სამინისტროში გარდაცვალების ფაქტს ადასტურებენ. უწყების ინფორმაციით, ცხედარი საცხოვრებელ სახლში იპოვეს და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

ლუკა ჩხეტიას სახლში ჩხრეკა 3 საათი მიმდინარეობდა – პოლიციამ კანონსაწინააღმდეგო ნივთი ვერ აღმოაჩინა

ლიხაურის ქუჩაზე სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული ქართველი მებრძოლის ლუკა ჩხეტიას სახლში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერში გუშინ, რამდენიმე საათი ჩხრეკა მიმდინარეობდა, თუმცა სამართალდამცავებმა კანონსაწინააღმდეგო ნივთი ვერ აღმოაჩინეს.

შეგახსენებთ, 26 წლის ქართველი სამხედრო, რომელიც დონბასში იბრძვის უკრაინის მოქალაქეებთან ერთად, 2 დეკემბერს თბილისში დააკავეს.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ამ ეტაპზე გამოძიება დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით, რაც ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

უკრაინულმა მხარემ მეგის ქარდავას საექსტრადიციო პატიმრობა შინაპატიმრობით შეუცვალა

უკრაინაში დაკავებულ საქართველოს სამხედრო პოლიციის ყოფილ უფროსს მეგის ქარდავას საექსტრადიციო პატიმრობა შინაპატიმრობით შეეცვალა, – აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მთავარ პროკურატურაში განუცხადეს.

როგორც ძალოვან უწყებაში განმარტავენ, სამხედრო პოლიციის ყოფილმა უფროსმა დაკავებისთანავე მიმართა უკრაინის შესაბამის ორგანოებს თავშესაფრის მინიჭების თხოვნით. მას შემდეგ, რაც ქარდავასთვის თავშესაფრის მინიჭების პროცედურები დასრულდება, უკრაინის იუსტიციის სამინისტრო არსებითად განიხილავს მეგის ქარდავას საქართველოში ექსტრადიციის საკითხს.

– მეგის ქარდავას საქართველოში ექსტრადიციის საკითხი განიხილება უკრაინის იუსტიციის სამინისტროს მიერ დ მას შეფარდებული ჰქონდა საექსტრადიციო პატიმრობა, რომლის მაქსიმალური ვადა არის დაკავებიდან ერთი წელი.

მეგის ქარდავამ დაკავებისთანავე მიმართა უკრაინის შესაბამის ორგანოებს თავშესაფრის მინიჭების თხოვნით. აღნიშნული საკითხი ამჟამად განხილვის ეტაპზეა. უკრაინული კანონმდებლობის თანახმად, პირისათვის თავშესაფრის მინიჭების საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე დაუშვებელია მისი ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტა. შესაბამისად, ვინაიდან მეგის ქარდავას მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის მაქსიმალური ვადა იწურებოდა 2018 წლის პირველ ნოემბერს და მისთვის თავშესაფრის მინიჭების საკითხის განხილვა არ იყო დასრულებული, მის მიმართ გამოყენებული საექსტრადიციო პატიმრობა შეიცვალა შინაპატიმრობით, რაც გულისხმობს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ შეზღუდვების დაწესებას, რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქნას მისი ექსტრადიციის საკითხის განმხილველ ორგანოში წარმოდგენა. ამასთან, თავშესაფრის მინიჭების პროცედურების დასრულებისთანავე, უკრაინის იუსტიციის სამინისტრო არსებითად განიხილავს მეგის ქარდავას საქართველოში ექსტრადიციის საკითხს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მეგის ქარდავას ექსტრადიცია მოითხოვება 11 სისხლის სამართლის საქმეზე, რასთან დაკავშირებითაც იგი გარკვეულ საქმეებზე დაუსწრებლად არის მსჯავრდებული, ხოლო დანარჩენი საქმეები არსებითად განიხილება შესაბამის სასამართლოებში, – აცხადებენ პროკურატურაში.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ინტერპოლით ძებნილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე 2017 წლის 1-ელ ნოემბერს დააკავეს. მეგის ქარდავა, რომელიც საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების მიერ 2013 წლის 13 თებერვლიდან იძებნებოდა. წინასწარი ინფორმაციით, ქარდავა უკრაინაში შეღწევას რუმინეთის ტერიტორიიდან ყალბი პასპორტის მეშვეობით ცდილობდა.

ადვოკატი: „ბრალდების მხარემ აღიარა და ექსპერტიზამაც დაადასტურა, რომ ავარიის დროს მერაბ კვირიკაშვილი ნასვამი არ იყო“

– ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, მერაბი ნასვამი რომ არ იყო, უდავოდ ცნო როგორც ბრალდების მხარემ, ასევე დაცვის მხარემ. ეს დაადასტურა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნამ. მეკო შემთხვევის დროს ფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ასევე გამოიკვეთა, რომ მისი მხრიდან სიჩქარის გადაჭარბებას ადგილი არ ჰქონია, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მორაგბე მერაბ კვირიკაშვილის ადვოკატმა ნუკრი კვინიკაძემ განუცხადა.

როგორც ადვოკატი აღნიშნავს, ბრალდების მხარე საკუთარი მტკიცებულებების გამოკვლევას ასრულებს და აღნიშნულ საქმეზე განაჩენიც უახლოეს დღეებში დადგება.

– გასულ სხდომაზე დაიკითხა ორი ექსპერტი, ისინი ბრალდების მხარის მოწმეები იყვნენ და დაადასტურეს, რომ მეკოს შემთხვევის თავიდან აცილება არ შეეძლო და ავტოსაგზაო შემთხვევა მეკოს ბრალეულობით არ მომხდარა. ამ საქმეში სულ 7 ექსპერტი მონაწილეობდა, რომელთაგან 2 დაკითხულია, 5 ექსპერტი კი 3 დეკემბრის სხდომაზე დაიკითხება. ამის შემდეგ დასკვნით სიტყვებზე გადავალთ და უახლოეს პერიოდში განაჩენი გამოცხადდება, – აცხადებს კვინიკაძე.

მისი განმარტებით, მერაბ კვირიკაშვილს გამამართლებელი განაჩენის მოლოდინი აქვს.

– მეკო მოლოდინშია, რომ საქმეზე ჭეშმარიტება დადგინდება და მის მიმართ გამოტანილი იქნება გამამართლებელი განაჩენი. მეკოს ჯერ არ მიუცია ჩვენება და აუცილებლად მისცემს, – აცხადებს ადვოკატი.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის 21 ივლისს, სამტრედია-ქუთაისის შემოვლით გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს, „იქს 5“ და „ჰონდას“ მარკის ავტომანქანები შეეჯახნენ. ავარიის შედეგად დაიღუპა მორაგბე მეკო კვირიკაშვილის მეუღლე, ანანო ბუაძე, „ჰონდას“ მგზავრები, გიორგი პაპასკირი, ნუცა კალანდია და ანი ჩხაიძე. მძიმედ დაშავდნენ თავად მეკო კვირიკაშვილი, ასევე მორაგბე გიორგი ლომინაძე და ნუცა გუნცაძე.

მომხდართან დაკავშირებით, მერაბ კვირიკაშვილს ბრალი სისხლის სამართლის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით აქვს წარდგენილი.

გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში, მერაბ კვირიკაშვილს სასჯელის სახით 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ლომჯარია: „მირგატ ასადოვის დაკავების გარემოებები ჩვენთვის საკმაოდ საეჭვოა“

– მირგატ ასადოვის დაკავების გარემოებები ჩვენთვის საკმაოდ საეჭვოა. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მისი მხრიდან არ ხორციელდებოდა არანაირი სამართალდარღვევა, – ამის შესახებ სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე მირგატ ასადოვის აზერბაიჯანში დაკავებასთან დაკავშირებით განაცხადა.

ომბუდსმენის თქმით, მას ჯერჯერობით მირგატ ასადოვთან კომუნიკაცია არ ჰქონია და დამატებითი დეტალების შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

– ასადოვის დაკავებისთანავე ჩვენ ვიყავით ინფორმირებული, გვქონდა კომუნიკაცია ჩემს კოლეგასთან. ამ ეტაპამდე პირადად მე არ მქონია შესაძლებლობა გავსაუბრებოდი მას. როცა გავესაუბრები, უფრო მეტი ინფორმაცია გვექნება. რა თქმა უნდა, დაკავების გარემოებები ჩვენთვის საკმაოდ საეჭვოა. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მისი მხრიდან არ ხორციელდებოდა არანაირი სამართალდარღვევა, თუმცა მას შეუფარდეს ადმინისტრაციული სანქცია. მას შემდეგ, რაც მას შევხვდებით, უფრო მეტი დეტალები გვეცოდინება, – განაცხადა ლომჯარიამ.

საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე მირტაგ ასადოვი აზერბაიჯანში 13 ნოემბერს დააკავეს.

ოჯახი მირგატი ასადოვს მიმდინარე წლის 7 ნოემბრის შემდეგ ეძებდა. მათი ინფორმაციით, ასადოვი აზერბაიჯანში ცოლ-შვილის სანახავად წავიდა, თუმცა საზღვართან აზერბაიჯანის პოლიციამ გააჩერა და ახსნა-განმარტების გარეშე პოლიციის განყოფილებაში წაიყვანა. ახლობლების ინფორმაციით, ასადოვს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 30-დღიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

ამ დროისთვის ასადოვი გათავისუფლებულია.

გენერალი მატისი: „რუსეთი ამერიკულ არჩევნებში ჩაერია!“

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა ჯეიმს მატისმა განაცხადა, რომ რუსეთი აშშ-ის კონგრესის შუალედურ არჩევნებში ჩარევას შეეცადა. გენერალი პირველი ამერიკელი ოფიციალური პირია, ვინც მსგავსი განცხადება გააკეთა.

– პუტინის ასეთი პოლიტიკის შედეგია ის, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები გაუარესდა, – თქვა მატისმა.

ულტრამემარჯვენეები ანდალუზიის პარლამენტში მოხვდნენ

ანდალუზია ესპანეთის ერთ-ერთი პროვინციაა. მის რეგიონალურ პარლამენტში ახლა ულტრამემარჯვენეები მოხვდნენ.

გენერალ ფრანკოს სიკვდილის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ესპანეთში რეგიონალურ დონეზე პარლამენტში ულტრამემარჯვენეები იქნებიან წარმოდგენილი.

ესპანელი ექსტრემისტების ლიდერმა მომხდარს ტრიუმფი უწოდა, ფრანგი მემარჯვენე პოპულისტების ლიდერმა მარინ ლე პენმა კი თავის ესპანელ თანამოაზრეებს გამარჯვება მიულოცა.

კომი თანახმაა, კონგრესს ჩვენება მისცეს

გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) ყოფილი დირექტორი ჯეის კომი კონგრესისთვის ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებდა. კომი ფლობს ინფორმაციას ტრამპის საარჩევნო შტაბის რუსებთან კავშირის შესახებ. კონგრესმენები კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ კომი მათ წინაშე წარმდგარიყო. გფბ-ს ექს–დირექტორმაც ამის გამო სასამართლოში იჩივლა.

კომიმ სარჩელი გამოიტანა. ახლა ის თანახმაა, კონგრესის წინაშე წარდგეს და ჩვენება მისცეს.

კონგრესის სხდომა დახურული იქნება.

ტიტოს თურმე ატომური ბომბის ფლობა სურდა

ისტორიკოს დრამმირ ბონჟიჩის წიგნი „ამბიციები და ილუზიები“ ბესტსელერად იქცა. მასში მოყვანილია დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ იუგოსლავიის დიქტატორ იოსებ ბროზ ტიტოს ატომური ბომბის ფლობა სურდა.

ტიტო ერთხანს კომინტერნის აგენტი იყო. 1941-45 წლებში ის იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელ არმიას ედგა სათავეში და ნაცისტების წინააღმდეგ პარტიზანულ ომს ხელმძღვანელობდა.

ომის შემდეგ ხელისუფლებაში რუსების დახმარებით მოვიდა. მან დაამყარა დიქტატურა, მოსპო პლურალიზმი, კერძო საკუთრება, შექმნა სრულყოფილი საიდუმლო პოლიცია, რომელსაც სათავეში გენერალი ალექსანდრე რანკოვიჩი ჩაუდგა. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული (მისი პირველი ცოლი პელაგია ბელოუსოვა რუსი იყო), 1958 წელს მოსკოვის გავლენის ზონიდან გამოვიდა.

ტიტო სასტიკად გაუსწორდა მათ, ვისაც სურდა, რომ იუგოსლავია საბჭოთა გავლენის ზონად დარჩენილიყო. მათგან ყველაზე სერიოზული ფიგურა იუგოსლავიის არმიის გენერალი არსო იოვანოვიჩი იყო. ის იუგოსლავიის უშიშროების სამსახურის მიერ იქნა ლიკვიდირებული.

ბონჟიჩს მოჰყავს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ტიტოს სურდა, ატომური ბომბი ჰქონოდა. მისი დავალებით კომუნისტური იუგოსლავიის უშიშროება ინტენსიურად მუშაობდა იმაზე, რომ ატომური ბომბის დამამზადებელი ტექნოლოგია მოეპოვებინა.

ბუნებრივია, დასავლეთისთვის ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

– აშშ-მ იუგოსლავიაზე ზეწოლა განახორციელა. ტიტოსაც თავის ატომურ ამბიციებზე უარის თქმა მოუხდა, – წერს ბონჟიჩი.

ამერიკელი სენატორი ნატოს გემების შავ ზღვაში გაგზავნას ითხოვს

რესპუბლიკელი სენატორი ჯონ ბარასო აშშ-სა და ნატო-ს მოუწოდებს, უფრო პრინციპული ქმედებები განახორციელონ უკრაინასთან მიმართებაში რუსეთის აგრესიის საპასუხოდ.

სენატორმა ასევე აღნიშნა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სწორად მოიქცა, როდესაც „დიდი ოცეულის“ სამიტის ფარგლებში რუსეთის ლიდერ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრა გაუქმა.

– ვლადიმერ პუტინისთვის სიტყვები არაფერს ნიშნავს. მისთვის მნიშვნელოვანია ქმედებები. ამიტომაც, მივიჩნევ, რომ უფრო აქტიური ნაბიჯები უნდა გადავდგათ, – განაცხადა ამერიკელმა სენატორმა.

ჯონ ბარასოს თქმით, ამერიკის ფლოტი და ნატო-ს გემები შავ ზღვაში უნდა იქნეს გაგზავნილი და ასევე უკრაინას უნდა მიაწოდონ დამატებითი შეიარაღება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

მეგან მარკლი სამეფო წესების დარღვევას აპირებს

პრინც ჰარის ფეხმძიმე მეუღლე მეგან მარკლი ექიმების რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ სახლში მშობიარობის ვარიანტს განიხილავს. ამ ინფორმაციას სამეფო ოჯახთან დაახლოებული წყარო ავრცელებს.

ინფორმატორის თქმით, სასექსის ჰერცოგინიას სურს, რომ სამეფო ოჯახის სხვა ქალებისგან განსხვავებული იყოს. ამჟამად ის მეუღლესთან ერთად ლონდონის წმინდა მარიამის საავადმყოფოს ალტერნატივას განიხილავს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ საავადმყოფოში იმშობიარეს პრინცესა დიანამ და კეიტ მიდლტონმა. ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად წყვილის ახალი ქალაქგარე რეზიდენცია ფროგმორ-ჰაუსი განიხილება.

ტრადიციის თანახმად, მშობიარობიდან რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ ახალშობილის დედა ქუჩაში უნდა გამოვიდეს, რათა ბრიტანელებმა ახალშობილთან მისალმება შეძლონ. ამგვარად, თუ მეგან მარკლი სახლში მშობიარობის გადაწყვეტილებას მიიღებს, ის სამეფო ოჯახის კიდევ ერთ წესს დაარღვევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ამერიკელს ნიუ-მექსიკოს შტატის არსებობის დამტკიცება მოსთხოვეს

კოლუმბიის ოლქის დედაქალაქის ქორწინების რეგისტრაციის ბიუროს თანამშრომლებმა ამერიკის ნიუ-მექსიკოს შტატის მცხოვრები გევინ კლარკსონი უცხოელ მოქალაქედ ჩათვალეს და მოსთხოვეს, მათთვის აშშ-ში ასეთი სუბიექტის არსებობა დაემტკიცებინა.

კლარკსონმა თავის საცოლესთან ურთიერთობისთვის კანონიერი ფორმის მიეცა გადაწყვიტა და ქორწინების რეგისტრაციის ბიუროში შესაბამისი განცხადება შეიტანა. პირადობის დამადასტურებელი საბუთის სახით მან ნიუ-მექსიკოს შტატის მიერ გაცემული მანქანის მართვის მოწმობა წარადგინა. თუმცა ბიუროს თანამშრომელმა მამაკაცი უცხო ქვეყნის მოქალაქედ მიიჩნია და მას საერთაშორისო პასპორტის წარდგენა მოსთხოვა.

კლარკსონის უკმაყოფილების და უარის შემდეგ, დაწესებულების თანამშრომელმა თავის ხელმძღვანელს მიმართა, რომელმაც მისი შეცდომა დაადასტურა, თუმცა მოგვიანებით შტატის არსებობა მაინც დაადასტურეს და დაწესებულების თანამშრომლებმა მამაკაცს ბოდიში მოუხადეს.

ნიუ-მექსიკოს შტატი აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. 1821 წელს შტატის ტერიტორია მექსიკის იმპერიის ნაწილი გახდა, თუმცა 1846 წელს ის აშშ-ში გადავიდა ამერიკა-მექსიკის ომის შედეგად. ნიუ-მექსიკომ შტატის სტატუსი 1912 წელს მიიღო.

მსოფლიოს საუკეთესო პლაჟები დასახელდა



უმსხვილესმა კანადურმა ტურისტულმა სააგენტომ მსოფლიოს ასი საუკეთესო პლაჟის სია შეადგინა.

2018 წელს პირველი ადგილი ამ სიაში საბერძნეთის კუნძულ ზაკინფში მდებარე ჩაძირული ხომალდების პლაჟს ერგო. მას მოსდევს ავსტრალიის კვინსლენდის შტატის თეთრი უბეს პლაჟი. მესამე ადგილზე აღმოჩნდა ფილიპინების ელ ნიდოს დაკარგული პლაჟი.

მეოთხე ადგილი დაიკავა ბრაზილიის პერნამბუკუ პრაია დო სანჩოს პლაჟმა, მეხუთეა მექსიკის პლაჟი ტულუმი. მეექვსე ადგილი ერგო ბრიტანეთის კუთვნილ ტერკს და კაიკოს პლაჟს სახელწოდებით გრეის ბეის. სიაში მეშვიდეა იამაიკის სევენ მაილი.

პირველ ათეულში ასევე მოხვდნენ ანს სურს დ,არჟან სეიშელის კუნძულებზე, პლაჟი ტაილანდის მაიას ყურეში და ვარადერო კუბაში.

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

უეფა ახალ ტურნირს გეგმავს

უეფას პრეზიდენტი ალეკსანდრ ჩეფერინი ნოვატორული იდეებით გამოირჩევა. სწორედ მისი იდეაა ახალი ევროტურნირი, რომელიც უეფამ დუბლინში გადაწყვიტა. ტურნირის სახელწოდება ჯერ ცნობილი არ არის და ევროპის ლიგა 2 სახელით მოიხსენიებენ. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ ტურნირი სტარტს 2021 წლიდან აიღებს.

ახალი ტურნირი თასების მფლობელთა თასის მაგვარი იქნება. სტაჟიან ფეხბურთის გულშემატკივრებს ეს ტურნირი, რომელიც 1960 წლიდან 1999 წლამდე იმართებოდა, ტკბილად ახსოვთ – 1981 წელს თბილისის დინამომ მოიგო.

ჩეფერინის თქმით, უკვე ძალიან ბევრი გუნდი ითხოვდა ევროთასზე მუდმივად თამაშის შანსს. ამ ტურნირით მათ სურვილს ასრულებენ.

რანგით მესამე ევროტურნირით საქართველოს მსგავსი ქვეყნები იხეირებენ. თუკი ჩემპიონთა ლიგასა და ევროპალიგაში უეფას 55 წევრიდან მხოლოდ 26-ს ჰქონდა ადგილი გარანტირებული, 2021 წლიდან ეს რიცხვი 34-მდე გაიზრდება.

სამივე ევროტურნირი 32-გუნდიანი იქნება. ყველა ტურნირი ჯგუფური ეტაპით დაიწყება – 8 ჯგუფში 4-4 კლუბი. ჯგუფური ეტაპის შემდეგ სამივე ევროტურნირი კლასიკურად გაგრძელდება: მერვედფინალი, მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და ფინალი.

მესამე ტურნირზე მერვედფინალის წინ იქნება დამატებითი ეტაპი, სადაც ერთმანეთს ევროპალიგის ჯგუფების მესამეადგილოსნები და „მესამე ლიგის“ ჯგუფების მეორეადგილოსნები შეხვდებიან. 2-რაუნდიანი დუელების შემდეგ გაირკვევა, რომელი გუნდები ითამაშებენ „მესამე ლიგის“ მერვედფინალში ჯგუფების გამარჯვებულებთან ერთად.

„მესამე ლიგის“ გამარჯვებული თასთან ერთად, რა თქმა უნდა, ფულად ჯილდოსაც მიიღებს და, გარდა ამისა, გარანტირებულ ადგილს ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე მომდევნო სეზონში.

„მესამე ლიგის“' მატჩებიც ევროპალიგის მსგავსად, ხუთშაბათს გაიმართება.

2021 წლიდან ევროპალიგის მონაწილე გუნდებისთვის უფრო მეტი თანხა იქნება გამოყოფილი.

ჯერჯერობით უცნობია, რომელი ქვეყანა რამდენ ადგილს მიიღებს „მესამე ლიგაში“ და მიიღებს თუ არა საქართველო თუნდაც ერთ გარანტირებულ ადგილს. დღევანდელი გადასახედიდან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასე მოხდეს, რადგან ითქვა, რომ ჯამში 34 ქვეყანას ექნება ყველა ევროტურნირზე ადგილები გარანტირებული, საქართველოს ჩემპიონატი კი დღევანდელი მდგომარეობით 47-ე ადგილზეა.

რომელი ქვეყნიდან რამდენ გუნდს მიეცემა მესამე ლიგაში ასპარეზობის შანსი? ასეთ დეტალებს უეფა 2019 წელს გადაწყვეტს და გაამხელს.

შვეიცარიით ვიწყებთ და ვამთავრებთ, დანიელთა მწვრთნელმა არც გვახსენა

დუბლინში გამართული 2020 წლის უეფას ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრის შედეგად საქართველოს ეროვნულო ნაკრები დ ჯგუფში შვეიცარიის, დანიის, ირლანდიისა და გიბრალტარის ეროვნულ ნაკრებებთან მოხვდა.

დ ჯგუფის კალენდარი წილისყრის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი. საქართველოს ეროვნული ნაკრები საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას 2019 წლის 23 მარტს შინ შვეიცარიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. ევრო პირველობის შესარჩევ ეტაპს კი ჩვენი გუნდი 2019 წლის 15 ნოემბერს კვლავ შვეიცარიასთან სტუმრად შეხვედრით დაასრულებს.

ევრო 2020-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ნაკრების კალენდარი:

23 მარტი: საქართველო-შვეიცარია;

27 მარტი: ირლანდია-საქართველო;

07 ივნისი: საქართველო-გიბრალტარი;

10 ივნისი: დანია-საქართველო;

08 სექტემბერი: საქართველო-დანია;

12 სექტემბერი: საქართველო-ირლანდია;

15 ოქტომბერი: გიბრალტარი-საქართველო;

15 ნოემბერი: შვეიცარია-საქართველო.

დუბლინში გამართული წილისყრა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ვლადიმირ ვაისმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა შეაფასეს.

ვლადიმირ ვაისი:

– რეიტინგის მიხედვით ფავორიტები შვეიცარია და დანია არიან. ირლანდიაც ასევე, ჩვენთვის ნაცნობის გუნდია, რომელთანაც მუდმივად გვიწევს დაპირისპირება. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ყოველი თამაში მნიშვნელოვანია. შევხედავთ როგორ გადანაწილდება სათამაშო განრიგი. ხელებს არ ვუშვებთ, თუმცა შვეიცარია ძალიან რთული მეტოქეა, ისევე, როგორც დანია, მაგრამ ყველასთან ვიბრძოლებთ.

ვფიქრობ, ისეთი სახელი მოვიხვეჭეთ, რომ საქართველოსთან დაპირისპირებაც არავის უნდა. ყველა ამბობს, რომ რთული იქნება საქართველოში თამაში, ამიტომ, ვეცდებით ვაჩვენოთ ხარისხიანი ფეხბურთი, ვიბრძოლებთ ყველა ქულისთვის და ჯგუფიდან გასვლისთვის. ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია, ჩვენ ვერ დაველოდებით მხოლოდ 2020 წელს, სადაც უკვე ცნობილია, რომ ერთა ლიგის ფლეი ოფში უნდა ვითამაშოთ.

ჩვენ ახლა მომდევნო სეზონისთვის უნდა მოვემზადოთ, რომელიც 2019 წელს დაიწყება. კიდევ უნდა გავიზარდოთ, ისე როგორც ამ სეზონში. საქართველოს ნაკრებმა უნდა განაგრძოს განვითარება.

რთულია თქვა, რომელი გუნდი უფრო ძლიერია, შვეიცარია თუ დანია. ჩვენს ჯგუფშია ირლანდიაც, რომელიც ასევე კარგი გუნდია. რა თქმა უნდა, აუტსაიდერი გიბრალტარია, მაგრამ მხოლოდ ფურცელზე.

ჩვენ ვითამაშებთ იმ ჯგუფში, სადაც 5 გუნდია, ამიტომ ამხანაგურ მატჩებში კარგი მეტოქეები უნდა შევარჩიოთ.

ლევან კობიაშვილი:

– შეიძლება ყოფილიყო უფრო რთულიც და უფრო იოლი ჯგუფიც. საერთო ჯამში, ვიტყოდი, რომ დაბალანსებული ჯგუფია. ვფიქრობ, ძალიან თანაბარი თამაშები იქნება. მიმაჩნია, რომ შეიძლება ბევრი მატჩი ფრედ დასრულდეს. ფაქტია, რომ ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იქნება განსაკუთრებით სახლის თამაშები, რათა პირველი და მეორე კალათის გუნდებს ქულები წავართვათ.

ერთადერთი, გული იმაზე დამწყდა, რომ 5-გუნდიან ჯგუფში ვართ, რაც ნიშნავს იმას, რომ ორი ამხანაგური თამაშის დაგეგმვა მოგვიწევს. ჩემი სურვილი იყო, რომ 6-გუნდიან ჯგუფში მოვხვედრილიყავით, მაგრამ საერთო ჯამში კმაყოფილები ვართ.

ვლადიმირ პეტკოვიჩი, შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი:

– ჩვენი გუნდი პროგრესირებს, ეს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც დავამტკიცეთ. დანიასთან და ირლანდიასთან ძალიან ძნელია თამაში. ისინი შემტევი სტილის გუნდები არიან. თავსაც კარგად იცავენ და ძალიან ცოტა გოლს უშვებენ. რაც შეეხება საქართველოს, ერთა ლიგაზე ჯგუფის გამარჯვებული გახდა. ეს ძლიერი გუნდია. მიუხედავად რთული მეტოქეებისა, პირველი ადგილი უნდა დავიკავოთ.

დანიელთა მწვრთნელ ოგე ჰარეიდეს საქართველოს ნაკრები არც უხსენებია:

– საინტერესო ჯგუფია. მოლოდინი დიდია. კარგად უნდა მოვემზადოთ. შვეიცარია ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ირლანდიას კარგად ვიცნობთ, ტურნირზე უკეთესად ითამაშებს.

მიკ მაკარტი, ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი:

– შვეიცარიის ნაკრები ახლა ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა, დანიასთან ერთა ლიგის ჯგუფში ვიყავით და უკანასკნელ ადგილზე გავედით. საქართველოს ადრე არაერთხელ შევხვედრილვართ, ახლა კი ეს მეოთხე კალათიდან ძალიან ძლიერი გუნდია.

რობენი ბაიერნს სეზონის ბოლოს დატოვებს

მიუნხენის ბაიერნის ჰოლანდიელი შემტევი ნახევარმცველი არიენ რობენი, მიმდინარე საფეხბურთო სეზონის დასასრულს „რეკორდმაისტერს“ დაემშვიდობება. „მფრინავი ჰოლანდიელი“ მიუნხენური კლუბის რიგებში 2009 წლიდან ასპარეზობს. მთელი ამ დროის განმავლობაში ბავარიული კლუბის მაისურით 305 შეხვედრა გამართა, გაიტანა 143 გოლი და გააკეთა 101 საგოლე პასი.

შთამბეჭდავია გერმანულ გრანდთან ერთად მოპოვებული ტიტულების რაოდენობაც. რობენი ბუნდესლიგის 7-გზის გამარჯვებული, გერმანიის თასის 4-გზის მფლობელი და 2012-13 წლის საფეხბურთო სეზონის, უეფას ჩემპიონთა ლიგის ჩემპიონია. გარდა ამისა ჰოლანდიელის ანგარიშზე 2013 წელს მოპოვებული სუპერთასი და საკლუბო ჩემპიონატის უმაღლესი ჯილდოც ფიქსირდება.

არიენ რობენი:

– გადაწყვეტილება რამდენიმე კვირის წინ მივიღე. ვფიქრობ, რომ იგი სწორია და აუცილებელია, ამაზე ახლა განვაცხადო. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია. უკვე 10 წელია, რაც ბაიერნში ვიმყოფები. ეს საოცარი წლები

იყო. უბრალოდ დაუჯერებელია, რომ ამ ასაკში კვლავ ასეთ დონეზე თამაში შემიძლია, მაგალითად, ისე, როგორც ეს ბენფიკას წინააღმდეგ იყო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რობენი საკლუბო კარიერას ჰოლანდიაში გააგრძელებს.

შედეგები

2 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

ჩელსი-ფულემი 2:0
არსენალი-ტოტენჰემი 4:2
ლივერპული-ევერტონი 1:0

სატუნინიო ცხრილი:

1.სიტი	14	12	2	0	43:6	38
2.ლივერპული	14	11	3	0	27:5	36
3.ჩელსი	14	9	4	1	30:11	31
4.არსენალი	14	9	3	2	32:18	30
5.ტოტენჰემი	14	10	0	4	25:15	30
6.ევერტონი	14	6	4	4	20:16	22
7.მანჩესტერი	14	6	4	4	22:23	22
8.ლესტერი	14	6	3	5	20:17	21
9.ბორნმუთი	14	6	2	6	23:21	20
10.უოტფორდი	14	6	2	6	17:19	20
11.ბრაიტონი	14	5	3	6	16:20	18
12.ვულვზი	14	4	4	6	13:17	16
13.ვესტ ჰემი	14	4	3	7	17:22	15
14.კრ.პალასი	14	3	3	8	10:17	12
15.ნიუკასლი	14	3	3	8	11:19	12
16.კარდიფი	14	3	2	9	13:27	11
17.ჰადერსფილდი	14	2	4	8	9:24	10
18.საუთჰემპტონი	14	1	6	7	12:26	9
19.ბარნლი	14	2	3	9	13:29	9
20.ფულემი	14	2	2	10	14:35	8

ინგლისი. ჩემპიონიობა

ბრისტოლი-მილუოლი 1:1

ესპანეთი. პირველი დივიზიონი

ბეტისი-სოსიედადი 1:0
ხირონა-ატლეტიკო 1:1
ბარსელონა-ვილიარეალი 2:0
ალავესი-სევილია 1:1

სატუნინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	14	8	4	2	37:19	28
2.სევილია	14	8	3	3	26:15	27
3.ატლეტიკო	14	6	7	1	18:10	25
4.ალავესი	14	7	3	4	18:14	24
5.რეალი	14	7	2	5	22:19	23
6.ხირონა	14	5	6	3	17:16	21
7.ესპანიოლი	14	6	3	5	17:16	21
8.ხეტაფე	14	5	5	4	15:11	20
9.სოსიედადი	14	5	4	5	17:16	19
10.ბეტისი	14	5	4	5	14:17	19
11.ლევანტე	13	5	3	5	20:21	18
12.ეიბარი	14	5	3	6	15:19	18
13.სელტა	14	4	5	5	25:22	17
14.ვალენსია	14	3	8	3	11:11	17
15.ვალიადოლიდი	14	4	5	5	11:14	17
16.ლეგანესი	14	4	4	6	14:18	16
17.ვილიარეალი	14	3	5	6	13:16	14
18.ბილბაო	13	1	8	4	14:20	11
19.რაიო	14	2	4	8	15:28	10
20.უესკა	14	1	4	9	12:29	7

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

მაჰადაონდა-დეპორტივო 0:0
ოსასუნა-ლუგო 1:0
ალბასეტე-ალკორკონი 2:1
ნუმანსია-ხიმნასტიკი 3:0
ლას პალმასი-ოვიედო 0:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ლაიპციგი-გლადბახი 2:0
აინტრახტი-ვოლფსბურგი 1:2

სატუნინიო ცხრილი:

1.დორტმუნდი	13	10	3	0	37:13	33
2.გლადბახი	13	8	2	3	30:16	26
3.ლაიპციგი	13	7	4	2	24:10	25
4.ბაიერნი	13	7	3	3	25:18	24
5.აინტრახტი	13	7	2	4	30:16	23
6.ჰოფენჰაიმი	13	6	3	4	28:19	21
7.ჰერტა	13	5	5	3	21:20	20
8.ვოლფსბურგი	13	5	3	5	18:18	18
9.ვერდერი	13	5	3	5	21:22	18
10.მაინცი	13	5	3	5	12:14	18
11.შალკე	13	4	2	7	14:18	14
12.ლევერკუზენი	12	4	2	6	18:24	14
13.ფრაიბურგი	13	3	5	5	16:22	14
14.აუგსბურგი	13	3	4	6	20:22	13
15.შტუტგარტი	13	3	2	8	9:26	11
16.ნიურნბერგი	12	2	4	6	13:29	10
17.ჰანოვერი	13	2	3	8	15:28	9
18.ფორტუნა	13	2	3	8	13:29	9

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დუისბურგი-კილი 0:4
ზანდჰაუზენი-ჰაიდენჰაიმი 1:2
მაგდებურგი-ბოხუმი 0:0

იტალია. სერია ა

მილანი-პარმა 2:1
სასუოლო-უდინეზე 0:0
ტორინო-ჯენოა 2:1
ფროზინონე-კალიარი 1:1
კიევო-ლაციო 1:1
რომა-ინტერი 2:2

სატუნინიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	14	13	1	0	31:8	40
2.ინტერი	14	9	2	3	27:12	29
3.ნაპოლი	13	9	2	2	26:13	29
4.მილანი	14	7	4	3	24:18	25
5.ლაციო	14	7	3	4	20:16	24
6.ტორინო	14	5	6	3	19:16	21
7.რომა	14	5	5	4	24:18	20
8.სასუოლო	14	5	5	4	21:19	20
9.პარმა	14	6	2	6	15:18	20
10.სამპდორია	14	5	4	5	21:17	19
11.ატალანტა	13	5	3	5	25:17	18
12.ფიორენტინა	14	4	6	4	18:13	18
13.კალიარი	14	3	7	4	13:17	16
14.ჯენოა	14	4	3	7	19:29	15
15.სპალი	14	4	2	8	13:23	14
16.უდინეზე	14	3	4	7	12:18	13
17.ემპოლი	14	3	4	7	17:25	13
18.ბოლონია	14	2	5	7	12:22	11
19.ფროზინონე	14	1	5	8	11:29	8
20.კიევო	14	0	5	9	11:31	2

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ბრეშა-ლივორნო 2:0
კარპი-ლეჩე 0:1
პერუჯა-პესკარა 2:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

ტულუზა-დიჟონი 2:2
მარსელი-რეიმსი 0:0
რენი-სტრასბური 1:4
ბორდო-პსჟ 2:2

სატუნინიო ცხრილი:

1.პსჟ	15	14	1	0	48:9	43
2.მონპელიე	15	8	5	2	24:11	29
3.ლიონი	15	8	4	3	26:18	28
4.ლილი	15	8	3	4	23:14	27
5.მარსელი	15	8	2	5	27:22	26
6.სტ.ეტიენი	15	7	5	3	22:18	26
7.ნიცა	15	7	3	5	12:14	24
8.სტრასბური	15	5	6	4	24:18	21
9.რეიმსი	15	5	6	4	10:13	21
10.ნიმი	15	5	5	5	22:20	20
11.ბორდო	15	4	6	5	16:17	18
12.ნანტი	15	4	5	6	21:22	17
13.ანჟე	15	4	5	6	19:21	17
14.რენი	15	4	5	6	19:25	17
15.ტულუზა	15	3	6	6	13:24	15
16.კაენი	15	2	7	6	12:18	13
17.დიჟონი	15	3	4	8	14:25	13
18.ამიენი	15	4	1	10	14:27	13
19.მონაკო	15	2	4	9	14:24	10
20.გენგამი	15	1	5	9	10:30	8

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

აიაქსი-დენ ჰააგი 5:1
ფეინოორდი-პსვ 2:1
ერაკლესი-ვენლო 4:1
გრონინგენი-ბრედა 5:2

ჰორტუგალია. პირველი ლიგა

ავეში-ნასიონალი 2:3
პორტიმორენშე-ტონდელა 3:2
შავეში-გიმარაეში 0:1
ბოავიშტა-პორტუ 0:1

ხუსეთი. პირველი ლიგა

კრასნოდარი-ურალი 2:0
როსტოვი-ცსკა 0:0
სპარტაკი-ლოკომოტივი 2:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-იანგ ბოიზი 1:3
ლუგანო-ქსამაქსი 2:2
ციურიხი-გრასჰოპერსი 2:0

მოტლანდია. პირველი ლიგა

ჰართსი-რეინჯერსი 1:2

მოტლანდია. ლიგის თასი

ფინალი

სელტიკი-აბერდინი 1:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ინსბრუკი-რაპიდი 0:1
ზალცბურგი-ალტახი 1:0
შტურმი-ვოლფსბერგერი 3:0

შტურმის მესამე გოლი ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა

ბელგია. 1 დივიზიონი

ბრიუგე-სტანდარდი 3:0
ანდერლეხტი-გენკი 0:1
ეუპენი-ბევერენი 1:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლევადიაკოსი-ასტერასი 0:2
არისი-პანათინაიკოსი 1:1
აეკი-ქანთი 2:0

თურქეთი. სუპერლიგა

ბურსა-ერზრუმი 2:1
ბეშიქთაში-გალათასარაი 1:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი-დუკლა 0:0
პრეერბრჟამი-ბანიკი 0:2
პლზენი-სიგმა 2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

სოსნოვეცი-ზაგლებიე 1:2
კრაკოვია-ლეხი 1:0

უკრაინა. პირველი ლიგა

ლვოვი-მარიუპოლი 2:2
შახტარი-ოლიმპიკი 2:2

დანია. სუპერლიგა

სონდერიისკე-ნორდსიელანდი 1:2
რანდერსი-მიდტიულანდი 1:2
ჰორსენსი-კოპენჰაგენი 1:6
ბრონდბიუ-ჰობრო 1:0

ნორვეგია. თასი

ფინალი

რუსენბორგი-სტრომგოდსეტი 4:1

მოამზადა მანუელ ყორეოლიანმა

დიდი 10-ის პირველი წრე ბათუმმა მოიგო

ბათუმი-არმაზი 20:15

სანაკრებო პაუზით გამოწვეული ოთხკვირიანი შესვენების შემდეგ, დიდი 10 მე-9 ტურით, ბათუმში განახლდა. ადგილობრივმა კლუბმა მარნეულის არმაზს უმასპინძლა და 20:15 გამარჯვებით, პირველი წრის მოგება დაიბევა.

ბათუმმა შეხვედრის ერთადერთი ლელო პირველ ტაიმში გაიტანა. 24-ე წუთზე ანზორ სიჭინავამ ფეხით გადაკიდებული ბურთი მოხსნა და ლელოში ბექა ურჯუკაშვილს შეაყოლა. გარდასახვა არაზუსტი იყო, მანამდე რეზი ჯინჭველაშვილის ჯარიმა ძელმა აისხლიტა და ტაიმი 5:0 დასრულდა.

შესვენების შემდეგ გუნდებმა 5-5 ჯარიმა გაიტანეს. მასპინძლებმა გარკვეული დროით უპირატესობა 11 ქულამდე (14:3) გაზარდეს, თუმცა სტუმრებმა ჩამორჩენის შემცირება შეძლეს და ბათუმმაც ყველა ჯერზე ჯარიმა კარში დაარტყა. გაწითლებულ დროზე ჯინჭველაშვილმა გასატანი პოზიციიდან მორიგი 3 ქულა აიღო და საკუთარ გუნდს ბონუსი მოუპოვა.

აია-ლოკომოტივი 14:28

თბილისის ლოკომოტივმა ქუთაისში აიას 4 ლელო გაუტანა და 28:14 იმარჯვა. დიდი 10-ის გასული სეზონის ფინალისტები ამჯერად პირველი წრის დასკვნით ტურში შეხვდნენ.

თამაში აიას შეტევებით დაიწყო. ისინი მაღალ ტემპში ცდილობდნენ უპირატესობის შექმნას და ჯარიმა კარშიც არ დაარტყეს, თუმცა სტუმრებმა თავი დაიცვეს და მე-20 წუთზე კონტრშეტევით დაწინაურდნენ. იერიში წიკლაურმა წამოიწყო, გიორგი ბეგაძე მცველებმა წითელ ზოლში შეაჩერეს, მაგრამ დაცვაში სივრცეები დატოვეს და ამით დაჩი კოპაძემ ისარგებლა, ხოლო წიკლაურმა გარდასახა.

ტაიმის ბოლოს ლოკომოტივმა ჯანის ხარჯზე კვლავ შეძლო მეტოქის 22-ში დამკვიდრება, ბეგაძემ შერკინების შემდეგ თავად შეუტია და თანაგუნდელს ბურთი ამოუგდო. ჟორჟ სალდაძემ გუნდი ლელოსგან სინბინის ხარჯზე იხსნა. ლოკომოტივი არ მოეშვა, შერკინებიდან შეუტია და ზვიად მაისურაძის ლელო წიკლაურმა გარდასახა. მასპინძლებმა შანსი გაწითლებულ დროზე მიიღეს, რატიაშვილმა მეტოქის დაცვა ერთხელაც ააწიოკა, ის შეაჩერეს, თუმცა სივრცით ბადრი დანგაძემ ისარგებლა და ძელებსშუა მცველებიანად შევიდა. თედო აბჟანდაძემ გარდასახა – 7:14.

გუნდებმა მეორე ტაიმიც ცოცხლად დაიწყეს. წიკლაურს ჯერ არეკნი გაუცუდდა, მერე ჯარიმა კარში აღარ დაარტყა, 5-მეტრიანი შერკინების შემდეგ ფორვარდები რამდენჯერმე მიეძალნენ და კოპაძეს თავის მეორე ლელო გაიფორმა. 75-ე წუთზე სტუმართა მორკინალებმა ერთხელაც იყოჩაღეს და მოლის შემდეგ მეორე ლელო მაისურაძემაც გაიტანა, რითაც ლოკომოტივს პრემიის აღების შანსი გაუჩნდა, მაგრამ დაცვაში ყურადღება მოადუნა, ლაშა ლომიძემ მასპინძელთა მეორე ლელო მიითვალა და აბჟანდაძის გარდასახვით საბოლოო შედეგი დაფიქსირდა – 28:14 თბილისელთა სასარგებლოდ და ლოკომოტივი მე-2 ადგილზე გამაგრდა.

ხარები-ვეფხვები 19:12

რუსთავის ხარებმა პირველი წრე მე-3 ადგილით დაასრულეს. საამისოდ, პატარძეულის ვეფხვების დამარცხება დასჭირდათ. რუსთაველებმა პირველი ტაიმი 5:0 მოიგეს, შესვენების შემდეგ კი 8 წუთში 3 ლელო დაუდეს მეტოქეს და 19:0 დაწინაურდნენ. თითქოს გამარჯვება ახლოს იყო, მაგრამ ვეფხვებმა გაიბრძოლეს და 5 წუთით ადრე ანგარიშში სხვაობა 7 ქულამდე დაიყვანეს – 19:12. თუმცა, მეტის გაკეთება ვეღარ მოახერხეს და მხოლოდ ბონუს ქულას დასჯერდნენ.

ლელო-აკადემია 3:5

ქულმწირი მატჩი გამოდგა დიღომში. პირველი ტაიმი სულაც 0:0 დასრულდა. მე-2 ტაიმში ანგარიში ლელომ გახსნა: მერაბ კვირიკაშვილმა ჯარიმა გაიტანა – 3:0. მატჩის ბოლომდე ეს ანგარიში იყო ტაბლოზე. თუმცა, გაწითლებულ დროში საბა ილურიძე ლელოს ლელო გაუტანა და მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულა.

ჯიქი-არმია 11:6

ერთმანეთს ქვედა ოთხეულის გუნდები ხვდებოდნენ და მის შედეგს დიდი დატვირთვა ჰქონდა. გორის ჯიქმა თბილისის არმიას დაძაბულ ბრძოლაში 11:6 სძლია და მოწინავე ექვსეულში შესვლის შანსი შეინარჩუნა.

არმია ბოლო ადგილზეა და უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, ხოლო ჯიქს, ცუდი სტარტის მიუხედავად, საჩემპიონო ექვსეულში შესვლის შანსი კიდევ რჩება და ამისათვის რაც შეიძლება მეტი თამაში უნდა მოიგოს.

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

მეთევზემ ანკესით ზღვიდან სამი გოგონა ამოიყვანა

არგენტინაში მეთევზემ ანკესის დახმარებით გოგონები დახრჩობას გადაარჩინა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი ბუენოს-აირესის პროვინციის ხენერალ-ალვარადოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პლაჟზე მოხდა. ერნან მარია გალარცამ თევზაობის დროს შენიშნა, რომ შორიახლოს მყოფი

გოგონები, რომლებიც მზეზე ირუჯებოდნენ, მოულოდნელად გაქრნენ. მან თვალი ტალღებს მიაპყრო და იქ რაღაც მოტივტივე საგნები შენიშნა. მას თავდაპირველად ისინი მოტივტივე ზურგჩანთები ეგონა, თუმცა რამდენიმე წამის შემდეგ მიხვდა, რომ ისინი სწორედ ის გამქრალი გოგონები იყვნენ.

მეთევზემ შენიშნა, რომ მისი ანკესის ძუა აიხლართა, მის მიმართულებას თვალი გააყოლა და მიხვდა, რომ ის ერთ-ერთ გოგონას ხელზე ჰქონდა შემოხვეული, რათა დინებას უფრო შორს არ გაეტაცებინა.

გალარცამ ბავშვებს დაუძახა, რომ არ შეშინებოდათ, ის მათ დაეხმარებოდა. მამაკაცი გარკვეული დროის განმავლობაში ანკესის ძუა ექაჩებოდა, თუმცა მალე მიხვდა, რომ ასე ვერაფერს გახდებოდა და გადაწყვიტა, დამხმარე მოეძებნა. ის პლაჟის მახლობლად 17 წლის ყმაწვილს გადააწყდა და ჰკითხა, კარგად ცურავა თუ იცოდა. აღმოჩნდა, რომ ყმაწვილი წყალზე მაშველად მუშაობაზე ოცნებობდა და არც კი დაფიქრებულა, ისე გადაეშვა წყალში.

სანამ მეთევზე დამხმარეს ეძებდა, ერთ-ერთმა გოგონამ ნაპირზე გამოსვლა მოახერხა. ყმაწვილმა მეორე გოგონა ამოიყვანა, სანამ მეთევზე ანკესით მესამე გოგონას აკავებდა, სამაშველო ოპერაციას სულ ოცი წუთი დასჭირდა.

გადარჩენილი ბავშვები 11-დან 13 წლამდე ასაკის იყვნენ. მათ აღიარეს, რომ ვერ მიხვდნენ, თუ როგორ აღმოჩნდნენ წყალში და როგორ შენიშნეს იქ ანკესის ძუა. მეთევზის თქმით კი გოგონებს ძალიან გაუმართლათ, რომ ძუა არ გაწყდა.

გადარჩენის შემდეგ მოზარდები პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უდანაშაულო ჩინელმა ციხეში 23 წელი გაატარა

ჩინეთში ციხიდან გამოვიდა მამაკაცი, რომელმაც გამოძიების შეცდომის გამო საპატიმროში 23 წელი გაატარა.

სასამართლომ 50 წლის ცზინ ჩეუხუნს მკვლელობისა და გაუპატიურების ბრალდება მოუხსნა, რადგან მტკიცებულებები არასაკმარისად დამჯერებლად მიიჩნია.

1995 წლის 29 სექტემბერს გირინის პროვინციის იუცზის ოლქში რკინიგზის მახლობლად 20 წლის გოგონას ცხედარი აღმოაჩინეს. ერთი თვის შემდეგ იმ მომენტისთვის 27 წლის ცზინი მისი გაუპატიურებისა და მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

1996 წლის ნოემბერში შუალედური ინსტანციის სასამართლომ მამაკაცს გადავადებადი სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. როგორც წესი, ასეთი განაჩენის გამოტანის შემდეგ, ორი წლის ვადის გასვლის შემდეგ, სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით იცვლება. ბრალდებულის ადვოკატმა სი სიანდუნმა განაჩენი გააპროტესტა, ვინაიდან მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამტკიცებდა, რომ მას დაკითხვების დროს აწამებდნენ. ამიტომ მან აღიარა ის, რაც არ ჩაუდენია. თუმცა 2000 წელს ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ ძველი განაჩენი ძალაში დატოვა.

მხოლოდ 2014 წელს განაცხადა უზენაესმა სახალხო სასამართლომ, რომ ცზინისა და მისი ოჯახის მრავალრიცხოვანი აპელაციების შემდეგ საქმეს გადახედავდა, რაც ასევე ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის შედეგიც იყო, რომელიც საქმის გამოძიების მიმდინარეობას აკრიტიკებდა.

მიმდინარე წლის მარტში სასამართლომ განაცხადა, რომ არსებული მტკიცებულებების სამართლიანად ცნობა შეუძლებელია. 24 ოქტომბერს საქმე განახლდა.

ადვოკატის თქმით, ამ დროის განმავლობაში სასამართლოს არ ჰქონდა არც მტკიცებულებები, არც მოწმეთა ჩვენებები, ხოლო მთელი ბრალდება მის დაცვის ქვეშ მყოფის აღიარებით ჩვენებაზე იყო აგებული, რომელიც მას ძალის გამოყენებით მიაცემინეს. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმეში ბევრი წვრილმანი შეცდომა იყო: მაგალითად, მსხვერპლის მკერდზე სიგარეტის ფერფლი იქნა აღმოჩენილი, მაშინ როცა ცზინი სიგარეტს არ ეწეოდა.

ქალიშვილმა ავადმყოფი მამა გზისპირას მიატოვა

იაპონელმა ქალბატონმა მოხუცი და ავადმყოფი მამა სახლიდან 70 კილომეტრის დაშორებით გზისპირას მიატოვა.

სიგას პრეფექტურის ქალაქ ოცუს მკვიდრმა, 46 წლის უმუშევარმა რიტსუკო ტანაკამ, თავისი 79 წლის მამა მოშორებით ხიოგოს პრეფექტურის ქალაქ კობეს გარეუბანში ტექნიკური მომსახურების სადგურთან მიიყვანა. სერვისის თანამშრომლებმა მარტოხელა მოხუცს ყურადღება მიაქციეს და შეეცადნენ, მისი სახელი და მისამართი გაეგოთ. მაგრამ ალცჰეიმერის დაავადების გამო მამაკაცი ვერც საკუთარ სახელს იხსენებდა, ვერც ქალიშვილისას და ვერც მისამართს.

სადგურის თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცავებმა მოხუცი დაცვის ქვეშ გადაიყვანეს, ტანაკას დაუკავშირდნენ და ავადმყოფი მამის მიმართ მომვლელის მოვალეობისთვის თავის არიდებაში დაადანაშაულეს. ქალმა მომხდარი არ უარყო.

– ჩავთვალე, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ მას დაიჭერდნენ და მოხუცებულთა სახლში გადაიყვანდნენ, ვიდრე ჩემთან ცხოვრებას გააგრძელებდა, – განმარტა ქალმა, რომელიც ამის შემდეგ სამართალდამცავებმა დააპატიმრეს.

ესპანელმა პენსიონერმა მფრინავი თეფში ააგო

ესპანელი ხანდაზმული მწერალი და მუსიკოსი ორენსეს პროვინციის სოფელ მონტოედოდან ალუმინისა და მეტაკრილისტიდან მფრინავ თეფშს აგებს.

მფრინავი აპარატის დიამეტრი, რომელზეც 87 წლის ლუსიო ბალესტეროსი მუშაობს, დაახლოებით 18 მეტრს შეადგენს, ხოლო წონა ტონას აღემატება. ესპანელის ანგარიშით, მან მასზე უკვე 100 ათას ევროზე მეტი დახარჯა.

იმის გამო, რომ ძრავა არ აქვს, თეფშს ფრენა არ შეუძლია და ბალესტეროსს ეჭვი ეპარება, რომ ამას ის უახლოეს მომავალში მოახერხებს. მისი აზრით, დასაწყისისთვის კაცობრიობას სულიერი და ფსიქიკური ევოლუცია სჭირდება. მას იმედი აქვს, რომ ამის შემდეგ მისი მფრინავი თეფში პლანეტა 10/7-სკენ გაფრინდება, რომელიც მას საკუთარ წიგნში აქვს ნახსენები.

ასტროპროგნოზი

4 დეკემბრისათვის

ვერძი – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **კურო** – ნუ იაქტიურებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბუნებასთან რაც შეიძლება ახლოს იყავით. **ტყუპები** – მერკურის რეგრესული მოძრაობა ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. დღის პირველ ნახევარში პარტნიორებისგან მცირე უსიამოვნებას ელოდეთ. **კირჩხიბი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ლომი** – ახლობელ ადამიანთან პრეტენზიების გამოხატვას ერიდეთ, თორემ სკანდალს ვერ ასცდებით. უმჯობესია, ეს დღე მარტომ გაატაროთ. **ქალწული** – სერიოზულ პროვოკაციებს თავს ვერ დააღწევთ. საკუთარი აზრის გამოხატვისას ძალიან იფრთხილეთ. **სასწორი** – ბედი შანსს გაძლევთ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. საღამოს ერიდეთ სხვის საქმეებში ჩარევას. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. ნეგატიური აზრები უკუაგდეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **მშვილდოსანი** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – ერიდეთ პროვოკაციებს, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას. საკუთარი პრობლემებით დაკავდით. **მერწყული** – დაწყებული საქმე კონკრეტულ რეზულტატამდე მიიყვანეთ. ბავშვების მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. **თევზები** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 2. გერმანიაში განთავსებული ევროპაში უდიდესი თბოელექტროსადგური; 3. შტატი აშშ-ში; 4. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 5. პოლონელი კინორეჟისორი; 6. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 8. მგლის, ძაღლის გაბმული ხმიანობა; 11. ძვლის მაგვარი ნივთიერება, კბილის ძირითადი შემადგენელი ნაწილი; 14. ქალაქი ისრაელში; 15. სტუმრების მისაღებად, წინასწარ დანიშნული კვირის ესა თუ ის დღე ძველად; 16. მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, პატივისცემით; 17. ფრანგული საიუველირო ფირმა; 19. ადამიანის დასნებოვნება ცხოველური პარაზიტებით; 21. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 22. ბარიტის საბადო რაჭაში.

თარაზულად: 1. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 5. მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება; 7. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 9. საზოგადოების განვითარების დონე; 10. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 12. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 13. ფართო, ხეივნიანი ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება ლათინურ ამერიკაში; 16. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 17. ძალზე მაგარი ქვა, კვარცის ნაირსახეობა; 18. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 20. თემის, გვარის წინამძღოლი შუა-აზიაში; 22. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 23. ქართული ტელეკომპანია; 24. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 25. ადამიანის მიზანმიმართული ფიზიკური ან გონებრივი მოქმედება.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 6. კვრინჩხი; 7. მონარქი; 8. რომეო; 9. კუკუხო; 10. ნავთი; 13. აბელი; 15. ვისკონსინი; 18. მიკრონი; 20. პაპა; 21. მარინა; 23. დიალექტი; 24. დუბანი.

შვეულად: 1. შვებულება; 2. ოჩოკოჩი; 3. მირონი; 4. უნარი; 5. აქლემი; 11. თაგორი; 12. პისარო; 14. ლამა; 16. იარლიყი; 17. ეპიზოდი; 19. ნაესკაო; 21. მასნე; 22. ტაქსი.

სპანვორდის პასუხები:

1. აფრა; 2. ენა; 3. ინდი; 4. ლია; 5. აუზი; 6. ურიც; 7. უნია; 8. იაკი; 9. ნიკოლა; 10. სოია; 11. აგრესია; 12. სატანა; 13. ნეო; 14. შრი; 15. რომანსი; 16. სინაპი; 17. ირიდიუმი; 18. ტორი; 19. მარიო; 20. კინო; 21. ონეშტი; 22. აღ; 23. ბორდო; 24. თორა; 25. ლიპომა; 26. ვატერლოო; 27. დნეპრი; 28. ბადრო; 29. ლემა; 30. ადოლფ; 31. სიმონია.

სურათებზე: აგატა კრისტი; ფაბრიციო კოლოჩინი.

თაკო ნაცვლიშვილმა ახალი ფოტოსესიისთვის იპოზიორა

ლუქ მოდელს მენეჯმენტის მოდელმა თაკო ნაცვლიშვილმა ახალ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

დონატელა ვერსაჩეს და არმანის რჩეულმა ქართველმა ლამაზმანმა ფოტოები ინკანტოსთვის გადაიღო.

თაკო ნაცვლიშვილი პირველი ქართველი მოდელია, რომელიც ვიქტორია სეკრეტის შესარჩევ კონკურსში უკვე ორი წელია მონაწილეობს. სამწუხაროდ, ორჯერვე თაკო ვიქტორია სეკრეტის ხელმძღვანელობამ უარით გამოისტუმრა, სამაგიეროდ, ქართველი მოდელის ნახვა მსოფლიოს წამყვანი მოდის კვირეულების ჩვენებებზეა შესაძლებელი.

თაბუკაშვილის ქუჩაზე სადარბაზოს რეაბილიტაცია 119.000 ლარი დაჯდა

თაბუკაშვილის 42 ნომერში მდებარე საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში, სადაც ადრეული მხატვრობის ფერწერული ფენები გამოვლინდა, სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

კომპოზიციის დიდი ნაწილი, თვითნებური ჩარევის შედეგად, შეცვლილი და გადაკეთებული იყო, რის გამოც, სადარბაზოს პირვანდელი იერსახე დაკარგული ჰქონდა.

ადრეული მხატვრობის ნიმუში, რაზეც წელიწადის დროებია გამოსახული, კონსერვატორ-რესტავრატორების მიერ პირვანდელი სახით აღდგა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასევე, სადარბაზოს კარს, მოზაიკურ იატაკსა და ლითონის მოაჯირებს.

აღნიშნული შენობა 1889 წელსაა აგებული და XIX საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს. ინტერიერის მოხატულობა კი, იმდროინდელი თბილისური სადარბაზოებისთვის დამახასიათებელი მხატვრობის უნიკალური ნიმუშია.

სადარბაზოს რეაბილიტაცია გამგეობამ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში განახორციელა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 119 ათასი ლარი დაიხარჯა.

დავით შემოქმედელი პრეზიდენტის სასახლეში რუსთაველის მუზეუმის გახსნას ითხოვს

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელი დავით შემოქმედელი ავლაბარში მდებარე პრეზიდენტის სასახლეში შოთა რუსთაველის მუზეუმის დაარსებას ითხოვს.

დავით შემოქმედელი:

– რამდენიმე წლის წინ სოლოლაკის რეზიდენციაში არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი და მე სპეციალური წინადადებით ორჯერ შევხვდით ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს. შეხვედრებს ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის ამჟამინდელი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. ჩვენ ვითხოვდით, რომ აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოში დაარსებულიყო „რუსთაველის მუზეუმი“. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა დიდი მოწონებითა და ენთუზიაზმით მიიღო ეს წინადადება და დაგვავალა, რომ დაგვწერა „რუსთაველის მუზეუმის“ მოწყობის კონცეფცია. მე და გიგა ბათიაშვილმა დავწერეთ ეს კონცეფცია. ამის შემდგომ აღნიშნული კონცეფცია რუსთაველის საზოგადოების კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, კომპოზიტორმა მარიკა კვალიაშვილმა და მე ჩავაბარეთ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს, ამჟამად ვიცეპრემიერ მაია ცქიტიშვილს.

ამავე საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინ შევხვდი პარლამენტის თავმჯდომარეს, ირაკლი კობახიძეს, მან კვლავ დაადასტურა, რომ იწონებს ჩვენს წინადადებას და მზად არის, მხარი დაუჭიროს.

არსებობს საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია იყოს ორბელიანების ისტორიული სასახლე. ავლაბრის ამჟამინდელი რეზიდენცია, სადაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია არის განთავსებული, პროექტის ავტორი არქიტექტორი გიგა ბათიაშვილია, თავდაპირველად გათვალისწინებული იყო, როგორც ქართული კულტურის ცენტრი „რუსთაველის მუზეუმი“. კონიუნქტურული თვალსაზრისით, მშენებლობის პროცესში შენობა გადაკეთდა პრეზიდენტის რეზიდენციად.

ყველა დიდი კულტურის მქონე ერი პატივს მიაგებს თავის უპირველეს გენიოსს. აუცილებელია არსებობდეს რუსთაველისა და მისი ეპოქის ამსახველი ილუსტრირებელი სივრცე. სწორედ „რუსთაველის მუზეუმი“ უნდა იყოს საქართველოს სავიზიტო ბარათი დანარჩენ მსოფლიოსთან, სადაც წარმოდგენილი იქნება რუსთაველის, მისი თანადროული ეპოქის, ასევე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ქართული კულტურისა და ცივილიზაციის მთელი ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი მასალები. ეს იქნება ის უპირველესი სავიზიტო ბარათი, რითაც ჩვენ, როგორც ერთ-ერთი უძველესი, დიდი ცივილიზაციისა და კულტურის ქვეყანა, წარვდგებით დანარჩენი სამყაროს წინაშე.

ცნობილია, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება უკვე მრავალი წელია ამკვიდრებს აზრს, რომ აუცილებელია საქართველოში შეიქმნას რუსთაველის ეპოქისა და, შესაბამისად, საქართველოს ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი მიღწევების ამსახველი კულტურის ცენტრი, „რუსთაველის მუზეუმი“, ისევე, როგორც „პომპიდუს ცენტრი“ პარიზში, „იაპონიის სახლი“ ოსაკაში და სხვა... სადაც ხაზგასმულად მიწოდებულია, თუ რა წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნებმა მსოფლიოს სულიერი და ნივთიერი კულტურის განვითარებაში და რა მიიღეს დანარჩენი ცივილიზებული სამყაროსაგან. ვფიქრობთ, დღეს რეალური ხდება ამგვარი იდეის განხორციელების შესაძლებლობა საქართველოში.

ახლად არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის არ აპირებს ავლაბრის რეზიდენციაში თავისი მოვალეობის შესრულებას. ვფიქრობთ, რომ ამ შენობის მომავალთან დაკავშირებით უგულებელყოფილ უნდა იქნას ყველა სხვა ბიზნეს თუ უწყებრივი ინტერესები. მივიჩნევთ, რომ ჩვენს წინადადებას ალტერნატივა არ გააჩნია.

ვითხოვთ, რომ საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინოს ჩვენი წინადადება და საქართველოში დაარსდეს ქართული კულტურის ცენტრი „რუსთაველის მუზეუმი“ და განთავსდეს ის დღეიდან უფუნქციოდ დარჩენილ პრეზიდენტის ყოფილ ავლაბრის რეზიდენციაში.

არქიტექტორ გიგა ბათიაშვილის აზრით, ქართული კულტურის აღნიშნულ ცენტრს „რუსთაველის მუზეუმის“ ნაცვლად უმჯობესია ეწოდოს: „საქართველო – რუსთაველის სახლი“. არსებობს განსხვავებული მოსაზრებანიც. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, სახელწოდებასთან დაკავშირებით მოხდება საზოგადოებრივი აზრის შეჯერება.

ნინო წულაია ბიჭის დედა გახდა

„ნიჭიერის“ მონაწილე მომღერალი ნინო წულაია, რომელმაც ფართო საზოგადოებას განუმეორებელი საოპერო ხმით დაამახსოვრა თავი, ბიჭის დედა გახდა.

ახალშობილს მშობლებმა დემეტრე დაარქვეს. პატარას ფოტოები ახალბედა დედიკომ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. ფოტოებმა უამრავი მოწონება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი ბავშვებზე ზრუნვაზე შეთანხმდნენ

ჰოლივუდის მსახიობებმა ანჯელინა ჯოლიმ და ბრედ პიტმა ხელი მოაწერეს საბოლოო შეთანხმებას, რომელიც მათ ბავშვებზე მზრუნველობას ეხება. ამ ინფორმაციას ჯოლის ადვოკატ სამანტა ბლეი დიჯინზე დაყრდნობით ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

მისი თქმით, შეთანხმება ჯერ კიდევ ორი კვირის წინ იქნა მიღწეული, ახლა კი ორივე მხარემ ხელი მოაწერა შესაბამის საბუთებს. ადვოკატმა აღნიშნა, რომ შეთანხმება ეფუძნება ბავშვებზე ზრუნვის ექსპერტის რეკომენდაციებს და საქმის სასამართლო განხილვის აუცილებლობა აღარ არსებობს.

შეგახსენებთ, რომ ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი 2014 წლის აგვისტოში დაქორწინდნენ. მათ ექვსი შვილი ჰყავთ, მათგან სამი (მედოქსი, პაქსი და ზახარი) ნაშვილები.

2016 წლის სექტემბერში ანჯელინა ჯოლიმ განქორწინებაზე განცხადება შეიტანა, რის მიზეზად პიტის აღმზრდელობით მეთოდებთან მისი შეუთანხმებლობა დასახელდა.

მთვრალმა ექიმმა მშობიარე და მისი ნაყოფი დაღუპა

ინდოეთის გუჯარათის შტატში ექიმი ეჭვმიტანილია იმაში, რომ მან პაციენტს ოპერაცია მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა გაუკეთა.

22 წლის ფეხმძიმე გოგონა საავადმყოფოში იმ დროს მიიყვანეს, როდესაც მშობიარობის კრუნჩხვები დაეწყო. გადაწყდა, რომ მისთვის საკეისრო კვეთა გაეკეთებინათ. ოპერაციის შემდეგ გოგონას ნათესავებს აცნობეს, რომ ბავშვი მკვდარია, ხოლო თავად მშობიარეს ძლიერი სისხლდენა აქვს. ის კერძო საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ გოგონა გზაში გარდაიცვალა.

საკეისრო კვეთა 15 წლის გამოცდილების მქონე ექიმმა გააკეთა. პაციენტის დაღუპვის შემდეგ მან თავად გამოიძახა პოლიცია, ვინაიდან გოგონას ნათესავების თავდასხმის შეეშინდა. ადგილზე მისულმა პოლიციელებმა მისი სუნთქვა ალკოტესტერის დახმარებით შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ ექიმი მთვრალი იყო. ის ადგილზევე დააპატიმრეს.

მომხდარის გამოძიება დაწყებულია. უნდა დადგინდეს, გოგონასა და მისი ნაყოფის დაღუპვა ექიმის შეცდომამ გამოიწვია თუ ამის მიზეზი სხვა რამ იყო.

ჩინეთის უხანის პროვინციის მცხოვრებს სასწრაფო ქირურგიული ოპერაციის გაკეთება დასჭირდა, რათა მისი საშარდე ბუშტიდან უზარმაზარი ქვა ამოეღოთ.

55 წლის მამაკაცმა საავადმყოფოს მიმართა და იმ უსიამოვნო შეგრძნებების თაობაზე დაიჩივლა, რომელთაც ის მიმდინარე წლის ივნისიდან განიცდიდა. სამედიცინო შემოწმების დროს მის საშარდე ბუშტში 13 სანტიმეტრი დიამეტრის ქვა აღმოაჩინეს.

– ის ადამიანის მუშტზე დიდი ზომის იყო და მთელი საშარდე ბუშტი ჰქონდა დაკავებული, – განაცხადა ერთ-ერთმა ექიმმა.

გადაწყდა, რომ ქვა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოეშორებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მამაკაცს თირკმლების უკმარისობა დაემუქრებოდა. მას გულის ავადმყოფობა აღმოაჩნდა, ამიტომ საერთო ნარკოზის ნაცვლად ადგილობრივი გაუტკივარება გამოიყენეს. ასეთი უზარმაზარი ობიექტის ინსტრუმენტებით ამოღება შეუძლებელი აღმოჩნდა და ამიტომ ექიმს მისი ხელით ამოღება მოუხდა.

ექიმის ვარაუდით, მამაკაცის საშარდე ბუშტში ასეთი ქვის წარმოქმნას ხელი შეუწყო მისმა მავნე ჩვევებმა. კერძოდ, ის მეტისმეტად ცოტა წყალს სვამდა, დიდხანს ითმენდა, როდესაც ტუალეტში გასვლა სჭირდებოდა და დიდხანს იჯდა ერთ ადგილზე.

ჩინელს საშარდე ბუშტიდან სირაქლემის კვერცხის ზომის ქვა ამოუღეს

ავსტრალიურ სახელგანთქმულ ხარს კონკურენტი გამოუჩნდა

კანადაში ცნობილი უზარმაზარი ხარის, სახელად ნიკერსის, კონკურენტი გამოჩნდა. ხარი, სახელად დოზერი, ავსტრალიურ თანამოძმეზე 2,5 სანტიმეტრით მაღალია.

შეგახსენებთ, რომ ნოემბრის ბოლოს მასმედიის ყურადღების ცენტრში მოექცა ხარი, სახელად ნიკერსი. მისი სიმაღლე 194 სანტიმეტრს შეადგენს და ამან ის დაკვლას გადაარჩინა.

კანადის მანიტობას პროვინციის ქალაქ ვინიპეგის მახლობლად მდებარე ფერმისა და ცხოველთა თავშესაფრის მფლობელმა კარლ შენროკმა განაცხადა, რომ ნიკერსით ასეთი აღფრთოვანების მიზეზს ვერ ხედავს, ვინაიდან მისი ხარი კიდევ უფრო დიდია. ექვსი წლის ცხოველის სიმაღლე 196 სანტიმეტრია.

შენროკმა დოზერი დაახასიათა ნაზ გიგანტად და აღნიშნა, რომ მასში ზომების გარდა საშიში არაფერია.

ისევე, როგორც ნიკერსი, დოზერიც სახორცე ფერმაში გაჩნდა და ხორცად უნდა წასულიყო. თუმცა მას ყურადღება კანადელმა რებეკა ჰანასჩუკმა მიაქცია და მისი მფლობელისგან გამოისყიდა. მაშინ ხარი ასეთი დიდი ზომის ჯერ კიდევ არ ყოფილა და გოგონას ძალიან უკვირდა, როდესაც მის ზრდას თვალს ადევნებდა.

ჰასანჩუკმა დოზერი შენროკის თავშესაფარში გაგზავნა, ვინაიდან ანომალიურად სწრაფი ზრდის გამო ცხოველს ჯანმრთელობის პრობლემები დაეწყო. მას უკანა ფეხების სახსრები აწუხებს და ფერმერსა და მის მეუღლეს მისთვის ტკივილგამაყუჩებელი წამლის წასმა უხდებათ.

ისევე, როგორც ნიკერსი, დოზერიც გოლშტინ-ფრიზის ჯიშისაა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

სპორტკომპლექსი „განთიადის“ კოლექტივი თანაუგრძნობს ამავე კომპლექსის პრეზიდენტს, ბატონ პაატა ანდრიაძეს ძმისშვილის

დავით ანდრიაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

4 დეკემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2,6894
- ევრო — 3,0514
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4112
- 100 რუსული რუბლი — 4.0063

ამინდის პროგნოზი 4 დეკემბრისთვის

საქართველოს ისტორია პატარებისთვის 3 ნაწილად

ეს სამი წიგნი მოგვითხრობს საქართველოს გმირულ წარსულსა და დიდ მამულიშვილებზე, საარაკო ბრძოლებსა და საოცარ ამბებზე, რაც კი საქართველოს გადახდენია

5 დეკემბრიდან

ნაწილი I

ამ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი

I წიგნი მოიცავს პერიოდს ქვის ხანის ადამიანიდან ქვეყნის გაქრისტიანებამდე.



ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

18 დეკემბრიდან

ნაწილი II

თამარს უამბო დედამა...

II წიგნი ასახავს ჩვენი წარსულის ოქროს ხანას, მანამდე და მის შემდგომ პერიოდს მე-17 საუკუნემდე.



ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

25 დეკემბრიდან

ნაწილი III

ბაზალეთისა ტბის ძირას...

III წიგნი მოგვითხრობს ერეკლე მეფის ზეობასა და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე დღემდე.



ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

კეილორ ნავასი შესაძლოა რეალიდან წავიდეს

მადრიდის რეალის მეკარე კეილორ ნავასმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მას ერთი თვის მანძილზე რეალის არც ერთ შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა. ნავასის მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ გართულდა, რაც რეალს სათავეში სანტიაგო სოლარი ჩაუდგა.

– კურტუა მაღალი დონის მეკარეა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ხანდახან შანსი მეც უნდა მომეცეს, რადგან ეს დავიმსახურე. ზედიზედ სამჯერ ჩემპიონთა ლიგა მოვიგე, ამიტომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ჩემთვის რთულია, – განაცხადა ნავასმა.

კეილორმა ასევე ისაუბრა იმაზე, რომ სეზონის ბოლოს მან შესაძლოა რეალი დატოვოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ექიმი:
– გაიხადეთ და დაწექით!
– რატომ?
– ექიმი მე ვარ და მე უკეთ ვიცი!

კაცი დაემორჩილა, გაიხადა და დაწვა. ექიმი ეკითხება:
– აბა, რა გაწუხებთ?
– შეშა მოვიტანე და სად დავცალო?

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
– აი, რას ნიშნავს ნამდვილი დაქალი...
– რა მოხდა?
– გუშინდელი საღამოს წვეულების შემდეგ სახლში მეხუთე სართულამდე ამათრია და ქმარს ჩემი თავი ჩააბარა!
– და მერე?
– რა მერე, არც მეხუთე სართულზე ვცხოვრობ და არც გათხოვილი ვარ!...

●●●

ექიმი პაციენტს ეკითხება:
– ძლიერი ხველა გაქვთ. ეწევით?
– ვეწევი.
– სვამთ?
– დიახ, ვსვამ ხოლმე.
– დაუყოვნებლივ უნდა დაანებოთ თავი სმასა და მოწევას!
– და რა, მარტო ვახველო?

●●●

კაცი ქალს ეკითხება:
– რამდენი წლის ბრძანდებით?
– ასე შემიძლია გიპასუხოთ, წნევის წამალი კი გამომიწერეს, მაგრამ მათ კონიაკს ვაყოლებ.

●●●

განცხადება გაცნობის გაზეთში:
– მსურს გათხოვება. ვლაპარაკობ ხმადაბლა, ვამზადებ გემრიელ კერძებს, თავი არ მტკივა.

●●●

აეროპორტის დისპეტჩერს, რომელსაც საქმე თავზე საყრელად აქვს, უცბად ესმის ხმა:
– რეისი 713, დასაფრენ ბილიკს ვითხოვ.
– რეისი 713, დასაფრენ ბილიკს ვერ მოგცემ, ცხრაასი მეტრის სიმაღლეზე დადექით.
– მე თქვენ გეუბნებით, მომეცით დასაფრენი ბილიკი.
– ბილიკს ვერ მოგცემთ, თქვენ წინ თვითმფრინავების რიგია.
– მიმიფურთხებია, რიგისთვის, სასწრაფოდ მომეცით ბილიკი, თქვენი დედა...
– შეწყვიტეთ მიკროფონში ყვირილი!
– რომელი მიკროფონი, უკვე ნახევარი საათია მიკროფონი აღარ მუშაობს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

პოგბამ და მოურინიომ ისევ იკამათეს

პოლ პოგბას და ჟოზე მოურინიოს რომ დაძაბული ურთიერთობები აქვთ, ეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს. ამჯერად მათ საუთჰემპტონთან მატჩის შემდეგ იკამათეს, როდესაც ჟოზემ პოგბა გააკრიტიკა, რასაც ფრანგის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. ოქტომბერში პოგბასა და მოურინიოს შორის დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც პოლს ვიცე-კაპიტნობა ჩამოერთვა. ამის შემდეგ იყო საუბრები, რომ პოგბა იანვარში მანჩესტერს დატოვებდა, მაგრამ ჯერჯერობით თვითონ ფეხბურთელი ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს.

ერნესტო ვალვერდემ დემბელე შეაქო

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ ვილიარეალთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ დემბელემ ეს მატჩი ძალიან კარგად ჩაატარა და ბარსელონას გამარჯვება დიდწილად მისი დამსახურებაა.

ვალვერდეს თქმით, დემბელემ ასე უნდა გააგრძელოს:
– დღეს უსმანმა შესანიშნავად ითამაშა. მას მოედანზე ყველაფერი შეუძლია, როდესაც ის კარგ ფორმაშია. მისმა გოლებმა არაერთი მნიშვნელოვანი ქულა მოგვიტანა და მან მომავალშიც ასე უნდა გააგრძელოს.

ბარსელონამ საკუთარ მოედანზე ვილიარეალი 2:0 დაამარცხა.

დიეგო კოსტა ორი თვე ვერ ითამაშებს

მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდი დიეგო კოსტა ორი თვის მანძილზე ვერ შეძლებს თამაშს. ატლეტიკოს ფორვარდს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და მას ოპერაცია დასჭირდება, რომელსაც კოსტა რამდენიმე დღეში გაიკეთებს.

თუ რამე გართულება მოხდა, შესაძლოა კოსტამ ორ თვეზე მეტიც კი გამოტოვოს, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა.

კოსტას არყოფნა ატლეტიკოსთვის დიდი დანაკლისია, რადგან ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 2. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი; 3. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 4. ნელ ტემპიანი სამეჯლისო ცეკვა; 5. ქვის ხანის უკანასკნელი პერიოდი; 8. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 9. გაეროს გენერალური მდივანი; 12. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 14. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 16. კოლხეთის მითოლოგიური მეფე.

თარაზულად: 1. საღებავი ნივთიერება, რომელიც მწვანე ფერს აძლევს მცენარის ფოთლებს; 6. ქართული მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი; 7. კუთხე საქართველოში; 9. აზიაში გავრცელებული მაიმუნის ერთ-ერთი ჯიში; 10. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 11. სპეკულაციური გარიგება ბირჟაზე; 13. მაღალხარისხოვანი მინა; 15. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 17. ღვინის და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. ინგლისის სამეფოს ტახტის მემკვიდრის ტიტული; 20. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა